



WOMEN
AGAINST
VIOLENCE
EUROPE

ტრენინგის სახელმძღვანელო

გენდერული ნიშნით
ძალადობის პრევენცია
და მასზე რეაგირება საომარ
და ომის შემდგომ გარემოში

მონაცემები გამოცემის შესახებ

გამომცემელი: WAVE – ევროპის ქალები ძალადობის წინააღმდეგ, ბაპერპლაცი 10/6, A-1050 ვენა
WAVE საინფორმაციო ცენტრი: ორშაბათი–ხუთშაბათი: 9:00-დან 17:00-მდე, პარასკევი: 9:00-დან 15:00-მდე
ტელეფონი: +43-1-548 27 20
ელ. ფოსტა: office@wave-network.org
ვებგვერდი: www.wave-network.org
ZVR: 601608559

ავტორები: ინესა ადილხანიანი, ეკატერინე გამახარია, გორიცა ივიჩი
პროექტის კოორდინატორი: ელენა ფლორიანი
ყდა: iStock.com/DrAfter123
გამოცემის ადგილი და წელი: ვენა, ავსტრია, 2023წ.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ეუთოს ფინანსური მხარდაჭერით, WIN პროექტის ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები, ინტერპრეტაციები და დასკვნები ავტორთა პირადი მოსაზრებებია და შესაძლოა არ გამოხატავდეს ეუთოს, მის დონორთა ან წევრ სახელმწიფოთა მოსაზრებებს.



ტრენინგის სახელმძღვანელო

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში

შესავალი	4
მიმოხილვა და მიზნები	4
პროექტი	6
ტრენინგის ჩატარების გაიდლაინები	7
განსაზღვრული აუდიტორია და დრო	7
ფასილიტატორის ინსტრუქცია	7
ფემინისტური პრინციპები	12
ტრავმის შესახებ ინფორმირებული ტრენინგის ჩატარება	13
ონლაინ და ოფლაინ ტრენინგი	15
ტრენინგის შესავალი სესია	17
მონაწილეთა და ფასილიტატორების გაცნობა „ყინულმჭრელი“ თამაშის საშუალებით, ძირითადი წესების დადგენა და მოლოდინების გაზიარება	17
მოდული 1: ომის გავლენა ქალებსა და გოგონებზე	20
შესავალი	20
რჩევები ფასილიტატორისთვის	21
მოდულის მიმოხილვა	21
ტრენინგ სესიის გეგმა	22
მოდული 2: ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები საომარ და ომის შემდგომ გარემოში	28
შესავალი	28
რჩევები ფასილიტატორისთვის	28
მოდული მიმოხილვა	29
ტრენინგ სესიის გეგმა	29
მოდული 3: ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით	32
შესავალი	32
რჩევები ფასილიტატორისთვის	32
მოდულის მიმოხილვა	33
ტრენინგის სესიის გეგმა	34
მოდული 4: ადვოკატირება	38
შესავალი	38
რჩევები ფასილიტატორისთვის	38
მოდული მიმოხილვა	39
ტრენინგ სესიის გეგმა	39
შემაჯამებელი და დასკვნითი სესია	45
რესურსები	47

შესავალი

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიცავს ოთხი სატრენინგო მოდულის ჩატარების ხელშესაწყობად საჭირო ძირითად მითითებებსა და გაკვეთილის გეგმებს, რომლებიც ფოკუსირებულია გენდერული ნიშნით ძალადობის (GBV) პრევენციასა და მასზე რეაგირებაზე საომარ ვითარებასა და ომის შემდგომ გარემოში. ტრენინგ სახელმძღვანელო ეფუძნება გზამკვლევს „გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში: ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რეკომენდაციები“, რომელიც შემუშავებულია WAVE-ს მიერ ეუთო-სთან თანამშრომლობით 2022 წელს.¹

მიმოხილვა და მიზნები

გენდერული ნიშნით ძალადობა ადამიანის უფლებების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და გამანადგურებელი დარღვევაა მსოფლიოში. მას ფართო მასშტაბები და გრძელვადიანი შედეგები გააჩნია. შეიარაღებული კონფლიქტი ზრდის ძალადობის ზემოქმედებას და აძლიერებს ქალებისა და გოგონების სიცოცხლისთვის საშიშ რისკებს. კონფლიქტით გამოწვეული გენდერული ნიშნით ძალადობა მრავალი ფორმით გვხვდება, მათ შორის არის სექსუალურ ძალადობა (გაუპატიურება, სექსუალური შევიწროება და შეურაცხყოფა, და ა.შ.), ოჯახში ძალადობა, ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგი, იძულებითი პროსტიტუცია, სექსუალური შევიწროება და დისკრიმინაცია, ასევე უფლებების უარყოფა. როდესაც კონფლიქტი სრულდება, ძალადობა ქალებსა და გოგონებზე კვლავ გრძელდება. უფრო მეტიც, გენდერული ნიშნით ძალადობა ხშირად მიღებულია საზოგადოებაში სოციალური და კულტურული დამოკიდებულებებისა და რწმენის გამო, რომელიც ამართლებენ და უკვდავყოფენ მას.

წინამდებარე ტრენინგ სახელმძღვანელო მიზნად ისახავს:

- დაეხმაროს ფასილიტატორს/ებს ჩაატარონ გაცნობითი, მონაწილეობითი და ინტერაქტიული ტრენინგი კონფლიქტით გამოწვეული გენდერული ნიშნით ძალადობასა და ქალთა ორგანიზაციების მიერ გამოყენებული საუკეთესო პრაქტიკის/სტრატეგიების შესახებ, და თავიდან აიცილონ გენდერული ნიშნით ძალადობა საომარ და შემდგომ გარემოში.
- განუვითაროს უნარები მათ, ვინც მუშაობს ჰუმანიტარულ კონტექსტში ან სპეციალიზებულ მომსახურებას უწევს ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთ და დაზარალებულებს.
- შექმნას უსაფრთხო სივრცე მონაწილეთათვის, რათა მათ მოახდინონ თავიანთი შეხედულებების, იდეებისა და გამოცდილების გაზიარება კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ, რათა მათ გამოიყენონ თავიანთი უნარები, ცოდნა და გამოცდილება ერთმანეთისგან ახლის სწავლის, ახალი წინადადებებისა და სტრატეგიების შესაქმნელად.

¹ გზამკვლევი „გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში: ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რეკომენდაციები“ ხელმისაწვდომია ხუთ ენაზე (ინგლისური, სომხური, ბოსნიური, ქართული და უკრაინული) WAVE-ის ვებგვერდზე: <https://wave-network.org/toolkit-prevention-response-gbv-war/>

ტრენინგ სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისგან:

ნაწილი 1 – ზოგადი ნაწილი: ის შეიცავს ზოგად და დამხმარე ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ტრენინგის წარმატებით ჩატარება; იგი იძლევა რჩევებს ფასილიტატორთათვის, თუ როგორ მოემზადონ ტრენინგის ჩატარებამდე; ის გვთავაზობს თეორიულ და პრაქტიკულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას ფემინისტური პედაგოგიური პრინციპები ტრენინგის წარმართვისთვის და როგორ წარვმართოთ სენსიტიური საუბრები და დისკუსიები ტრავმის შესახებ ინფორმირებული ტრენინგის პრინციპების გამოყენებით.

ნაწილი 2 – საბაზისო ტრენინგი: იგი შეიცავს ოთხ ტრენინგ მოდულს და ინსტრუქციებს ფასილიტატორთათვის ტრენინგების წარმატებით ჩასატარებლად. თითოეულ მოდულს ახლავს სასწავლო მიზნები, ფასილიტატორის შენიშვნები, მოდულის მიმოხილვა და ტრენინგის დეტალური გეგმა, თითოეული მოდულის ჩატარების სავარაუდო დროის ჩათვლით, თეორიული შენიშვნები, რესურსები და მითითებები ჯგუფური მუშაობისთვის.

ოთხი მოდული მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და სასურველია, მონაწილეებისთვის მათი თანმიმდევრულად მიწოდება.

მოდული 1 შექმნილია იმისთვის, რომ შეისწავლოს და გამოიკვლიოს შეიარაღებული კონფლიქტის გავლენა ქალებსა და გოგონებზე, მათ შორის მისი გადაკვეთა სხვა რისკ ფაქტორებთან, როგორცაა ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია და ეთნიკურობა. ის ასევე გვანდის ინფორმაციას გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპური ფორმების შესახებ. ამასთანავე, ის განმარტავს, თუ როგორ შეუძლია ქალებსა და გოგონებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე შეიარაღებული კონფლიქტის გენდერული ზემოქმედების გაცნობიერებამ, მისცეს პროფესიონალებს/ დაინტერესებულ მხარეებს საშუალება, გაითვალისწინონ ისინი და მოარგონ მსგავსი მოსახლეობის საჭიროებებს თავიანთი პროგრამები თუ ინტერვენციები, ყოვლისმომცველი და გენდერულად მგრძობიარე მიდგომით.

მოდული 2 შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს მონაწილეებს გააცნობიერონ ძირითადი სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქალებისა და გოგონების დაცვაზე საომარ და ომის შემდგომ ვითარებაში, და რა ზომებისა და პოლიტიკის გატარებაა საჭირო იმისთვის, რომ სისტემური რეაგირებით მოხდეს ქალებისა და გოგონების მიმართ ყველა სახის ძალადობის თავიდან აცილება და აღმოფხვრა.

მოდული 3 შექმნილია იმისთვის, რომ მონაწილეებს მიეცეთ საშუალება შეიმუშაონ ახალი სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის. მონაწილეებს შორის მოსაზრებების გაცვლა მათ მისცემს რეფლექსიის საშუალებას, წარმოშობს ახლებურ ხედვას და გამოიწვევს ცვლილებებს დამოკიდებულებებსა და პრაქტიკაში.

მოდული 4 შექმნილია რათა დაეხმაროს მონაწილეებს გააცნობიერონ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან განხორციელებული ადვოკატირების მნიშვნელობა, როგორც არაძალადობრივი მოქმედებების ფორმა, კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ვითარებაში. მოდულის შინაარსმა და პრაქტიკულმა მაგალითებმა უნდა აჩვენოს მონაწილეებს, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ადვოკატირებას გადაწყვეტილების მიმღებთა და საჯარო უწყებების პოლიტიკაზე, პრაქტიკასა და ქცევაზე, ქალთა უფლებების კონტექსტში კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ გარემოში. გარდა ამისა, მოდული მიზნად ისახავს შთააგონოს მონაწილეები იფიქრონ საკუთარი ადვოკატირების და ლობისტურ საქმიანობაზე, რაც ხშირად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში ყოველდღიური მუშაობის ნაწილია.

პროექტი

2022 წელს, WAVE-მა (ევროპელი ქალები ძალადობის წინააღმდეგ) ეუთოს გენდერული საკითხების პროგრამასთან/WIN პროექტთან პარტნიორობით დაიწყო ახალი პროექტი, რომელიც მიმართულია ქალთა სპეციალიზებული სერვისების შესაძლებლობების გაძლიერებაზე და მათ შორის პერსპექტიული პრაქტიკებისა და გამოცდილების გაცვლაზე იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ძალადობის მსხვერპლთა და კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ ზონებში განთავსებულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა.

საგულისხმოა, რომ ქალთა ორგანიზაციების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავდა გზამკვლევი, რომელიც ასახავს არამხოლოდ საომარი კონფლიქტებისაგან გამოწვეულ ზიანსა და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს, არამედ აღწერს WAVE-ის ოთხი წევრი ორგანიზაციის საუკეთესო პრაქტიკას და გამოცდილებას, კონკრეტული მაგალითებით, მათ შორის იმ ქალთა ორგანიზაციების ინიციატივებისა და რეკომენდაციების ჩათვლით, რომელთაც თავად გამოსცადეს და განიცდიან ომის საშინელებას. გზამკვლევი „გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში: ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რეკომენდაციები“ ხელმისაწვდომია ხუთ ენაზე: ინგლისური, სომხური, ბოსნიური, ქართული და უკრაინული.

2023 წელს, გზამკვლევის საფუძველზე, შემუშავდა წინამდებარე ტრენინგის სახელმძღვანელო, რომლის მიზანია მოიცვას უფრო მეტი ქალთა ორგანიზაციები და სხვა აქტორები, რომლებიც ჩართულნი არიან გენდერული ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერაში. ამ ტრენინგ პროგრამის საშუალებით მონაწილეებს შეუძლიათ გაეცნონ ახალ სტრატეგიებს, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება და გააუმჯობესონ თანამშრომლობა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მაგალითად, ადვოკატების აქტივობებით.

პროექტში ჩართული WAVE-ის წევრები არიან „სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი“ (ერევანი, სომხეთი), ქალთა ფონდი „სოხუმი“ (ქუთაისი და თბილისი, საქართველო); გაერთიანებულ ქალთა ფონდი „ბანია ლუკა“ (ბანია ლუკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა), და ცენტრი „ქალთა პერსპექტივები“ (ლვოვი, უკრაინა).

ტრენინგის ჩატარების გაიდლაინები

განსაზღვრული აუდიტორია და დრო

ვისთვის არის განკუთვნილი ტრენინგი?

ტრენინგის სახელმძღვანელო შექმნილია ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის სპეციალური სერვისების მიწოდებაში. ის ასევე შეიძლება მიემართოს სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა ან სხვადასხვა სექტორის ადამიანთა ფართო წრეზე, რომლებიც მუშაობენ ან სურთ იმუშაონ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ადამიანებთან, მაგალითად, სათემო ჯგუფები, მოხალისეები, ფსიქო-სოციალური სერვისის მიმწოდებლები, ჯანდაცვის წარმომადგენლები, პოლიციის/უშიშროების თანამშრომლები და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ტრენინგის სახელმძღვანელო ყველაზე პროდუქტიულად იქნეს გამოყენებული 8დან-15-მდე ადამიანისგან შემდგარ ჯგუფში ონლაინ და მაქსიმუმ 12 მონაწილისგან შემდგარ ჯგუფში, ოფლაინ ტრენინგის შემთხვევაში. მცირე ჯგუფების შემთხვევაში შეიძლება შინაარსის უფრო დეტალურად განხილვა და გამოყენება.

დრო

ტრენინგის გზამკვლევი შემუშავებულია 1 ან 2-დღიანი ტრენინგ კურსისთვის. განრიგი შეიძლება შეიცვალოს მსმენელთა რეალური საჭიროებიდან გამომდინარე.

გზამკვლევი შედგება ოთხი ტრენინგ მოდულისგან, რომელთა ხანგრძლივობა შესაძლოა იყოს 60-დან 130 წუთამდე, 15-20 წუთიანი შესვენების ჩათვლით. ფასილიტატორს შეუძლია შეცვალოს მოდულების ხანგრძლივობა ზოგიერთი სავარჯიშოების გამოტოვებით ან საკუთარი სურვილისამებრ სხვათა დამატებით. თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრული დრო სავარაუდოა. ტრენინგის სპეციფიკური მიზნების, სამიზნე ჯგუფის, ტრენინგის ადგილმდებარეობის (ონლაინ/ოფლაინ) და ხელმისაწვდომი დროიდან გამომდინარე, ფასილიტატორს შეუძლია მეტი ან ნაკლები დრო დაუთმოს თითოეულ აქტივობას. აღნიშნულზე ასევე დიდ გავლენას მოახდენს არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები. თითოეული მოდული ასევე იძლევა მოდულის მიმოხილვას და ხანგრძლივობას, როგორც მაგალითს/ათვის წერტილს ტრენინგ სესიის შემუშავებისთვის.

ფასილიტატორის ინსტრუქცია

ფასილიტატორის როლი პროცესის გამართვაში: სიტყვა „ფასილიტაცია“ ანუ „გამართვა“ მომდინარეობს ფრანგული სიტყვიდან "facile", რაც ნიშნავს "მარტივს". „ფასილიტირება“ ნიშნავს „პროცესის შემსუბუქებას“, რაც გულისხმობს ტრენინგის მონაწილეებისთვის დისკუსიის, აღმოჩენისა და სწავლების პროცესის გამართვას. ფასილიტაცია მოიცავს თემის გაცნობას, დისკუსიებისა და აქტივობების წარმართვას და კითხვების დასმას მონაწილეთა შორის რეფლექსიისა და საკითხთა გასაცნიერებლად და მეტად გასაგებად. ფასილიტატორების როლი მდგომარეობს დაეხმაროს ტრენინგ-სესიების ან სემინარების მონაწილეებს ახალი იდეების გენერირებაში, შეკითხვების მოფიქრებასა და დასკვნების გამოტანაში, ვიდრე პასუხების გაცემაში.

რა უნდა გაითვალისწინოთ ტრენინგის დროს

ფასილიტატორ(ებ)ის კვალიფიკაცია/უნარები:

- **დარგის ექსპერტიზა** – ფასილიტატორი უნდა იყოს გენდერულად და კონფლიქტების მიმართ მგრძობიარე და ჰქონდეს ცოდნა და გამოცდილება გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირებაზე, გენდერული თანასწორობის მენისტრიმინგზე და ომით/კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებასთან მუშაობაში. ფასილიტატორი ასევე უნდა ფლობდეს სპეციფიურ ინფორმაციას გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით არსებულ სიტუაციაზე ტრენინგის ჩატარების ადგილას. ამ სფეროებში საკმარისი ცოდნისა და გამოცდილების გარეშე, შეიძლება რთული იყოს მონაწილეთა მიერ სენსიტიურ და ხშირად რთულ თემებზე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.
- **განიხილეთ დამატებითი ფასილიტატორი** – ფასილიტატორების რაოდენობა დამოკიდებულია ტრენინგის ხანგრძლივობაზე და ფორმატზე. მიზანშეწონილია განიხილოთ დამატებითი ფასილიტატორი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ჯგუფური მუშაობის ხელშეწყობაში და დისკუსიის წარმართვაში. ონლაინ ტრენინგის დროს დამატებითი ფასილიტატორს შეუძლია დაეხმაროს „ჩატის“ ფანჯარაში მონაწილეთა კომენტარებისა და შეკითხვების ნაკითხვაში და მათზე რეაგირებაში, ასევე შეუძლია დაეხმაროს ვირტუალური ოთახების ორგანიზებაში, ჯგუფის წევრების შერჩევაში და ა.შ. რეკომენდებულია ფასილიტატორების შეკრება ყოველი ტრენინგის სესიის ბოლოს, ტრენინგის მსვლელობის განსახილველად და საჭიროებისამებრ, პროცესში ცვლილებების შესატანად.
- **შესაბამისი ცოდნა და უნარები** – ფასილიტატორმა უნდა გაიაზროს ფემინისტური პედაგოგიური პრინციპები და მათი გამოყენება ტრენინგების დროს. ფასილიტატორი ასევე უნდა იცნობდეს ტრავმის შესახებ ინფორმირებულ მიდგომებს და გაიგოს, რომ თითოეულ მონაწილეს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ისტორია და ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც განაპირობებს მათ მიერ გარკვეული თემების აღქმას, მათთან გამკლავებას და გადამუშავებას. მონაწილეებმა შესაძლოა განიცადეს ან ამჟამად განიცდიან კონფლიქტთან დაკავშირებულ ტრავმას და ძალადობას. ზოგისთვის შეიძლება არასასიამოვნო იყოს ან დაუცველად იგრძნოს თავი პირადი ინფორმაციის გაზიარებისას ან ძალადობისა და კონფლიქტის შესახებ დისკუსიების მოსმენისას. მონაწილეები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი, რომ მათ შეუძლიათ ანიშონონ ფასილიტატორს, თუ საუბარი მათთვის არასასიამოვნოა და აღელვებას იწვევს.
- **კულტურული სენსიტიურობა** – ფასილიტატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგიერთ კონსერვატიულ გარემოში შერეული ჯგუფების არსებობა ან კონკრეტულ გენდერულ საკითხებზე საუბარი შესაძლოა სენსიტიური იყოს. მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გავხადოთ აქტივობები კულტურულად მისაღები და მიზანშეწონილი, რათა არავის განაწყენდეს.
- **მისაღები და მკაფიო ლექსიკა** – შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი იყოს მონაწილეებთან წინასწარ იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ესმით ან რამდენად კონფორტულია მათთვის, ტრენინგის დროს გამოყენებული სპეციფიკური ტერმინოლოგია, ლექსიკა და სიტყვები, განსაკუთრებით თუ მონაწილეები კონფლიქტური გარემოდან, შერეულ ჯგუფებს წარმოადგენენ. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი ტერმინოლოგიის გამოყენება, რომელიც აზრთა სახვადასხვაობას იწვევს. სესიის დაწყებამდე ფასილიტატორებმა

უნდა შეთანხმონ მონაწილეებთან გენდერთან, კონფლიქტთან, ძალადობასა და მშვიდობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, რათა ისინი მისაღები იყოს ყველა მონაწილისთვის.

- **გასაგები აკრონიმები** – ფასილიტატორებმა თავიდან უნდა აიცილონ აბრევიატურების/აკრონიმების გამოყენება, ვიდრე ნათლად არ აუხსნიან მათ აუდიტორიას. მიზანშეწონილია ფლიპჩარტზე დაწერონ ხშირად გამოყენებული აკრონიმების სია და განათავსონ ისინი კედელზე/დაფაზე, რათა ისინი მონაწილეებისთვის მარტივად აღსაქმელი და გასაგები იყოს.

- **მოდულების კონტექსტური ადაპტაცია** – ფასილიტატორებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ეს გზამკვლევი ძალიან ზოგადია. ამიტომ მიზანშეწონილია მოდულების კონტექსტური ადაპტაცია. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, თუ რა სიტუაციაში ტარდება ტრენინგი, ამან შეიძლება გავლენა იქონიოს მოდულების შინაარსზე (ომი, გაჭიანურებული კონფლიქტი, გრძელვადიანი პოსტკონფლიქტური სიტუაცია ან სხვა). მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ქვეყნის კონკრეტულ ვითარებებზე ან კონკრეტულ კონტექსტთან დაკავშირებული კითხვების ჩართვა.

- **მოდულების ადაპტაცია მონაწილეთა გამოცდილებაზე დაყრდნობით** – ფასილიტატორებისთვის მნიშვნელოვანია, გაიაზრონ მონაწილეთა მრავალმხრივი გამოცდილება. ტრენინგის ეს მოდული შექმნილია როგორც ზოგადი გზამკვლევი და ფასილიტატორებს შეუძლიათ, მისი შინაარსი მოარგონ მონაწილეთა გამოცდილებას. ზოგიერთი მოდული შეიძლება გამოტოვოთ, თუ მონაწილეები ფლობენ ამ სფეროებში ღრმა ცოდნას. მონაწილეთა ექსპერტიზის გათვალისწინება უზრუნველყოფს მორგებულ და ეფექტურ სასწავლო პროცესს. როდესაც ჯგუფი მოიცავს სხვადასხვა დონის ექსპერტიზას, მიზანშეწონილია მოდულის ნაწილის გაშუქება, რომელიც შესაძლოა ზოგიერთი მონაწილისთვის ნაცნობი იყოს. ეს სტრატეგიული მიდგომა ხელს უწყობს ღირებული გამოცდილების გაზიარებას, აძლიერებს სასწავლო პროცესს და ხელს უწყობს მონაწილეთა ურთიერთგაძლიერებას. ჯგუფში კოლექტიური ცოდნის აღიარებითა და გამოყენებით, ფასილიტატორებს შეუძლიათ შექმნან დინამიური და ტრენინგის მდიდარი გამოცდილება ყველა მონაწილისთვის.

- **მიუკერძოებლობა** – როდესაც ფასილიტატორებს გააჩნიათ ინტერესი და საკუთარი შეხედულებები კონკრეტული თემის შესახებ, შესაძლოა რთული იყოს დისკუსიის მიუკერძოებლად წარმართვა. მნიშვნელოვანია, რომ აქტივობების დროს მოხდეს მონაწილეთა ჩართულობის ხელშეწყობა, თუმცა ცოდნის შექმნა თავად მონაწილეებმა უნდა მოახერხონ. ფასილიტატორები შეძლებისდაგვარად მიუკერძოებელი უნდა იყვნენ. საკუთარი აზრის ან გამოცდილების გასაზიარებლად, აცნობეთ ჯგუფს, რომ თქვენ დროებით წყვეტთ ფასილიტატორის როლს რათა, როგორც ინდივიდმა საკუთარი შეხედულება გამოხატოთ, რის შემდეგ შეგიძლიათ დაუბრუნდეთ ფასილიტატორის როლს. დაუთმეთ დრო სესიის რეფლექსიას მისი დასრულების შემდეგ.

ბ. მომზადება ტრენინგ აქტივობებისთვის

იცნობდეთ თქვენს აუდიტორიას – იმისათვის, რომ ტრენინგ პროგრამა პასუხობდეს მონაწილეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, მნიშვნელოვანია იცნობდეთ თქვენს აუდიტორიას, მათი მუშაობის სახეობას და ცოდნის დონეს გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ. ფასილიტატორებმა შეიძლება წინასწარ მოიპოვონ ინფორმაცია მონაწილეთა გამოცდილების შესახებ, რის სწავლას ელიან ისინი ტრენინგზე ან გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებულ რა სახის საკითხებს აწყდებიან სამუშაო პროცესში. ამისათვის, არის კითხვები, რომელიც შეიძლება დაისვას ტრენინგის დაწყებამდე ონლაინ

პლატფორმების მეშვეობით სხვადასხვა ფორმებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით (როგორცაა Google Forms, SurveyMonkey და ა.შ.). ქვემოთ მოცემულია შემოთავაზებული კითხვები, რომლებიც შეიძლება შევიდეს ფორმებში:

ა) რა გაინტერესებთ ამ ტრენინგზე/თემაზე?

ბ) გაქვთ თუ არა ომის დროს ან ომის შემდგომ პირობებში გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალებთან და გოგონებთან მუშაობის ან მოხალისედ მუშაობის გამოცდილება?

გ) პირადად განიცადეთ თუ არა ომის შედეგები? თუ კი, და თავს კომფორტულად გრძნობთ, გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თქვენი გამოცდილება. შეგიძლიათ გამოტოვოთ ეს შეკითხვა, თუ გიჭირთ მასზე პასუხის გაცემა.

ტრენინგის დროს ფასილიტატორებმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინონ, რომ შეიძლება მონაწილეთა გამოცდილებამ ძალადობასთან და კონფლიქტთან დაკავშირებით გამოიწვიოს ემოციური პრობლემები ან ტრავმა, რაც შემდგომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იქნას მოგვარებული, ან არის თუ არა აუდიტორიაში კულტურული ან რელიგიური ტაბუ, რომელიც შეიძლება გახდეს ბარიერი სწავლისთვის ან ინფორმაციის გაზიარებისთვის.

ტრენინგის ჩატარების ადგილი და დრო – სათანადო ადგილის შერჩევა მონაწილეებისთვის წარმატებული სასწავლო გამოცდილების გარანტიაა. ტრენინგის ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ ჩატარება საუკეთესო არჩევანია, რადგანის გამოიციხავს სამუშაო ფაქტორებით გამოწვეულ ყურადღების გაფანტვას. **ადგილმდებარეობა** – ადგილი უნდა იყოს ადვილად ხელმისაწვდომი მონაწილეებისთვის. **დრო** – გაითვალისწინეთ გენდერული როლები და პასუხისმგებლობები, რამაც შეიძლება შეზღუდოს დასწრება და აქტიური მონაწილეობა. გადაამოწმეთ მონაწილეებთან, რომლებსაც აკისრიათ მოვლის პასუხისმგებლობა. **ოთახის განლაგება** – ტრენინგის ოთახს უნდა ჰქონდეს საკმარისი სივრცე, რათა მთელი ჯგუფი მუშაობდეს ერთად. სასურველია მონაწილეები ისხდნენ ისე, რომ ამან ხელი შეუწყოს მათ შორის ინტერაქციას. მიზანშეწონილია, თუ მონაწილეები სხედან ნახევარწრიულად, სასურველია მაგიდებთან, ერთმანეთის პირისპირ. ოთახმა ასევე უნდა მისცეს მონაწილეებს დაშლის და მცირე ჯგუფებად მუშაობის საშუალება. ზოგიერთი სავარჯიშო მოითხოვს მაგიდას. მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია **აკუსტიკა და განათება**. **კეთილმოწყობა** – მონაწილეები უკეთესად ისწავლიან ისეთ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ნივთებით, როგორცაა მაგიდები, სკამები, ადგილი კედელზე ფლიპჩარტებისთვის და ტრენინგის ძირითადი ტექნოლოგიით, Wi-Fi, კომპიუტერი და ციფრული პროექციის სისტემების ჩათვლით.

მოამზადეთ საჭირო მასალები – ფასილიტატორებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი მასალები თითოეული ტრენინგ სესიისთვის:

- რვეულები და კალმები თითოეული მონაწილისთვის.
- ფლიპჩარტის ქალაქი და სტენდები ან თეთრი დაფები.
- სხვადასხვა ფერის მარკერები.
- ლეპტოპი და მონაცემთა პროექტორი. განიხილეთ პრეზენტაციის ალტერნატიული ფორმატები, თუ თქვენ იმყოფებით არასანდო ელექტროენერჯის მიწოდების ადგილას (მაგ., შესაძლოა დაგჭირდეთ პრეზენტაციის ზოგიერთი სლაიდის კოპირება ფლიპჩარტებზე).
- სხვადასხვა ფერის სტიკერები ან ბარათები.
- ნებოვანი ლენტი, ქინძისთავეები და მსგავსი ნივთები ფლიპჩარტების კედელზე ან დაფაზე დასამაგრებლად.
- სახელის ტეგები (სასურველია).
- აქტივობების ფურცლებისა და მასალების ასლები ყველა მონაწილისთვის.
- ტრენინგის დღის წესრიგი, ინდივიდუალური ასლები მონაწილეებისთვის ან დაწერილი ფლიპჩარტზე.

შექმნით ხელსაყრელი სასწავლო გარემო – ზრდასრულთა მონაწილეობითი სწავლების პრინციპების მიხედვით, სასწავლო პროცესში მონაწილეთა უკეთესი ჩართულობისთვის, რეკომენდებულია თეორიისა და პრაქტიკის დაბალანსება და ტრენინგის სხვადასხვა მეთოდების კომბინაცია: ტრადიციული ლექციებიდან და PowerPoint-ის პრეზენტაციებიდან დაწყებული, შედარებით ინტერაქტიული და მონაწილეობით მეთოდებამდე, როგორცაა მცირე ჯგუფური მუშაობა, ბრენშტორმის სავარჯიშოები, როლური თამაში, სასწავლო თამაშები, ინდივიდუალური რეფლექსია და ა.შ. ტრენინგში სწავლების სხვადასხვა მეთოდის გაერთიანება საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ მონაწილეთა სწავლების სხვადასხვა საჭიროებები და სტილი. ფასილიტატორებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ქცევის მოდელირებით, რომელიც ქმნის ღია და უფრო მონაწილეობით სასწავლო გარემოს. მაგალითად, პირადი ისტორიებისა და მიღებული გაკვეთილების გაზიარება შეიძლება ძალიან ეფექტური იყოს ამ მიზნით.

შექმნით უსაფრთხო გარემო – სასწავლო პროცესისთვის აუცილებელია უსაფრთხო და კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. ფასილიტატორებმა უნდა იმუშაონ მონაწილეებთან, რათა უზრუნველყონ კონფიდენციალურობა, ინფორმაციის მარტივი გაცვლა, უსაფრთხო გარემო და კარგი ინტერაქცია მონაწილეებს შორის. ტრენინგის დაწყებამდე მნიშვნელოვანია კომუნიკაციაზე და იმაზე შეთანხმება, თუ როგორ ხდება ინფორმაციის გაზიარება ტრენინგის დროს და მის შემდეგ, განსაკუთრებით სოციალური მედიის, ფოტოგრაფიისა და პირადი ინფორმაციის შესახებ. მნიშვნელოვანია წინასწარ შეთანხმდეთ მონაწილეებთან, რომ მოხდება ჩანაწერების გაკეთება და რომ მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ შეთანხმებული მიზნისთვის და არანაირ კომენტარს არ მიაწერენ კონკრეტულ პირს (Chatham House Rule).

ძირითადი წესების შემუშავება – ტრენინგის მონაწილეებთან ერთად აუცილებელია ძირითადი წესების შემუშავება. ძირითადი წესები დაგეხმარებათ შექმნათ შესაფერისი პირობები, რომელთა დაცვითაც მონაწილეებს შეუძლიათ უსაფრთხოდ იმუშაონ და ისწავლონ. ეს ასევე აძლიერებს ურთიერთობას ფასილიტატორსა და ჯგუფს შორის, თავად ჯგუფის წევრებს შორის. შესაბამისი ძირითადი წესები შეიძლება ნაწილობრივ იყოს დამოკიდებული ასაკზე, რეგიონზე და სხვა კონტექსტურ ფაქტორებზე. ძირითადი წესები შეიძლება მოიცავდეს მობილური ტელეფონების გამორთვას, კონფიდენციალურობის პატივისცემას, სხვა მონაწილეთა მოსაზრებების პატივისცემას, მსხვერპლთა შესახებ პირადი ინფორმაციის გამოყენების თავიდან აცილებას, ნებართვის გარეშე ჩანაწერების გაკეთებას ან ფოტოების გადაღებას, და ა.შ.

მიეცით რეფლექსიისთვის საჭირო ადეკვატურტი დრო – ტრენინგის დაგეგმვისას ფასილიტატორს უნდა ახსოვდეს, რომ ზოგი მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა ახალი იყოს აუდიტორიისთვის, შესაბამისად, ინფორმაცია უნდა იყოს მარტივი. ასევე გარკვეული დრო სჭირდება მონაწილეთა ფესვგადგმული რწმენისა და დამოკიდებულების დაძლევისას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული დრო დაუთმოთ მონაწილეების თვითრეფლექსიას და თემების დეტალურად განხილვას.

პატივი ეცით სხვადასხვა შეხედულებებს – ფასილიტატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მონაწილემ იგრძნოს, რომ მას უსმენენ და პატივის სცემენ (სხვათა მოსაზრების უფლების პატივისცემა აუცილებელია შედიოდეს ნებისმიერი ტრენინგის ძირითად წესებში).

დარწმუნდით, რომ დატოვებთ დრო უკუკავშირისთვის – მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებს მიეცეთ საშუალება ისაუბრონ იმაზე, თუ სად არიან ახლა ტრენინგთან მიმართებაში და რას თვლიან გამომწვევად. რეკომენდებულია ტრენინგის ყოველი დღის დარჩენილი 10–15 წუთი დაუთმოთ შედეგების შეჯამებას. აჩვენეთ შემაჯამებელი სლაიდი და სთხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა ისწავლეს და რისი გამოყენება სურთ ტრენინგ კურსის შემდეგ.

ფემინისტური პრინციპები

ფემინისტური მიდგომა განათლებისადმი

ფემინისტური მიდგომა და პრინციპები ფემინისტური პედაგოგიკის საფუძველია, რომელიც ეჭვ ქვეშ აყენებს განათლებაზე არსებულ მასკულინურ ნარატივებს და არღვევს იერარქიულ მასწავლებელ-მოსწავლის ძალაუფლების ურთიერთობებს. ფემინისტური პედაგოგიკის მიზანია გარდაქმნას პატრიარქალური სისტემები მოსწავლეში სურვილისა და მოტივაციის აღძვრით, გადადგას ქმედითი ნაბიჯები და შეიტანოს ცვლილებები აქტივიზმის გზით. ფემინისტური პედაგოგიკა განსხვავდება სწავლების ტრადიციული მეთოდისგან, რადგან ის მოითხოვს ქმედებას, და სასწავლო პროცესი სცილდება საკლასო ოთახის ფარგლებს. გარდა ამისა, სტუდენტებს ურჩევნია ჩართონ კრიტიკული აზროვნება და გარდაქმნან არსებული პატრიარქალური სტრუქტურები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი გზა, იყოფი ფემინისტი, არსებობს რამდენიმე უნივერსალური პრინციპი, რომელიც არაერთხელ იქნა განხილული მრავალი ფემინისტი მეცნიერის მიერ ლიტერატურაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ტრენინგის დროს გასათვალისწინებელი ფემინისტური პრინციპები:

ფემინისტური პრინციპები შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ფორმალურ საგანმანათლებლო სტრუქტურებში, არამედ არაფორმალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრენინგის ჩატარებისას.

- **ძალაუფლების დინამიკაზე რეაგირება** – ძალთა ბალანსის აღიარება, ინტერსექციულ უთანასწორობებზე ყურადღების მიქცევა, მათი დაძლევის სურვილი და ღია დიალოგის, როგორც ძირითადი კომუნიკაციის სტილის გამოყენება ტრენინგის ოთახში, ქმნის გარემოს, რომელშიც მონაწილეები ნახალისებულნი იქნებიან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ და შეცვალონ მჩაგვრელი ძალაუფლების ურთიერთმიმართება. ასეთ პირობებში ფასილიტატორი ასევე ასრულებს მოსწავლის როლს და აფასებს სხვა მონაწილეთა წვლილს.
- **კრიტიკული აზროვნების ნახალისება** – კრიტიკული კითხვების დასმა, კომპლექსურ კითხვებზე „მარტივი პასუხების“ გაცემისგან თავის შეკავება და სტრუქტურირებული დებატების დაწყება საზოგადოებრივი ნორმების, გენდერული როლებისა და კულტურული მოლოდინების კრიტიკული ანალიზით, მონაწილეებს აძლევს საშუალებას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს გენდერის შესახებ უკვე არსებული დისკურსები. ასევე, ახალი სივრცე იხსნება თვითრეფლექსიისთვის და საკუთარი მიკერძოებულობის გაგებისთვის.
- **ინკლუზიური და მრავალფეროვანი სასწავლო პროგრამების შემუშავება** გულისხმობს ტრენინგის ისეთი პროგრამების შემუშავებას, რომლებიც ინკლუზიური და მრავალფეროვანია მომხსენებლების, ფასილიტატორებისა და ქეისების შესწავლის თვალსაზრისით. ასევე იმის უზრუნველყოფას, რომ შინაარსი ასახავს განსხვავებულ გამოცდილებას და პერსპექტივებს.
- **გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლა** – მავნე გენდერული სტერეოტიპების ეჭვქვეშ დაყენება და განადგურება, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მონაწილეთა აღქმაზე და ქცევაზე.
- **მოქნილი ტრენინგ ფორმატის უზრუნველყოფა** – ტრენინგის უზრუნველყოფა ფორმატებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სწავლების მრავალფეროვან სტილსა

და საჭიროებებს (შშმ პირთა საჭიროებების ჩათვლით), ონლაინ ვარიანტები მონაწილეებისთვის შორეული ადგილებიდან, მცირე ჯგუფური სესიები სიღრმისეული დისკუსიებისთვის და პრაქტიკული აქტივობები. ეს პრინციპი უზრუნველყოფს განსხვავებული მონაწილეების სხვადასხვა საჭიროებების გათვალისწინებას ტრენინგის შემუშავებისა და ჩატარებისას.

- **ლიდერობისა და წარმომადგენლობის სტიმულირება** – მარგინალიზებული გენდერული ჯგუფების ქალთა და ინდივიდთა ნახალისება, რათა მოიხრგონ ლიდერის როლი ტრენინგ პროგრამებში და მათი წარმომადგენლობის მხარდაჭერა სხვადასხვა სფეროში. შედეგად, მონაწილეებს შეუძლიათ გეზი აიღონ სოციალური ტრანსფორმაციისა და სოციალური სამართლიანობისკენ.
- **გენდერული ანალიზის ინტეგრირება** – გენდერული ანალიზის ინტეგრირება ტრენინგის შინაარსსა და დისკუსიებში, ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ მოქმედებს გენდერული ნორმები და ძალაუფლების დინამიკა ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე.

ტრავმის შესახებ ინფორმირებული ტრენინგის ჩატარება

რა არის ტრავმა?

სიტყვა **ტრავმა** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან trauma (**τραύμα**), რაც ნიშნავს **ჭრილობას**.² ადრეულ ეტაპებზე მას იყენებდნენ მედიცინაში ფიზიკური ხასიათის ჭრილობის აღსაწერად, მოგვიანებით გამოიყენებოდა ფსიქიატრიულ ლიტერატურაში, ძირითადად ფროიდის მიერ, როგორც ფსიქოლოგიური ხასიათის ჭრილობა, რომელიც გავლენას ახდენს გონებაზე.³

დღესდღეობით, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტრავმა არის ნებისმიერი შემაშფოთებელი მოვლენა ან გამოცდილება, რომელიც, თუ არ იქნა გადამუშავებული, გავლენას ახდენს ადამიანის გამკლავებისა და ფუნქციონირების უნარზე, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ემოციურად, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად.

“ტრავმა გაცილებით მეტია, ვიდრე ამბავი დიდი ხნის წინ მომხდარის შესახებ.”⁴

— ბესელ ვან დერ კოლკი

ტრავმა არ არის მხოლოდ წარსულში მომხდარი მოვლენა ან ამბავი, არამედ ის ასევე არის ნათელი მოგონება, ანაბეჭდი, რომელიც რჩება ადამიანის გონებასა და სხეულზე, რომელიც შეიძლება გააქტიურდეს ანმყოფი ტრიგერების მეშვეობით, ხშირად მოგონებების სახით, რომლებიც წარმოადგენენ სუნების, გამოსახულებების, ბგერების და თუნდაც ფიზიკური შეგრძნებების ფრაგმენტებს. ამ რეტროსპექციებს შეიძლება არ ჰქონდეს კავშირი ანმყოფთან და ხშირად ეფუძნება წარსულიდან გამოყოფილ შიშსა და პანიკას. მიუხედავად ამისა, მოგონებები წარსული მოვლენის შესახებ იმდენად ნათელია, რომ ისინი ხშირად იწვევენ ემოციური და/ან ფიზიკური რეაქციების დარღვევას მოცემულ მომენტში.⁵

2 კოლაიტის, გ., ოლიფ, მ. (2017), ფსიქოტრავმატოლოგია საბერძნეთში, ფსიქოტრავმატოლოგიის ევროპული ჟურნალი, 8: sup4. მიღებულია 31 ივლისს, 2023წ. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://doi.org/10.1080/20008198.2017.1351757>.

3 კარუთი, ქ. (1996). არაგაცხადებული გამოცდილება: ტრავმა, ნარატივი, და ისტორია. ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4 ვან დერ კოლკი, ბ. ა. (2014). სხეული იმასოვრებს: ტვინი, გონება და სხეული ტრავმის სამკურნალოდ, გვ. 221. ვიკინგი.

5 იქვე

ა. ფემინისტური მიდგომა ტრავმისადმი

მწირი რესურსების მქონე გარემოში, სადაც სოციალური ცხოვრება გამოფიტული ან განადგურებულია, მაგალითად, ომის ან კონფლიქტის გამო, ნაკლებია ტრავმული მოვლენების შემდეგ სწრაფი გამოჯანმრთელების შესაძლებლობა.⁶

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ტრავმა არის არა მხოლოდ ინდივიდუალური გამოცდილება, არამედ სოციო-პოლიტიკური კონცეფცია, რომელსაც აქვს სისტემური მიზეზები და შედეგები. ტრავმის სისტემური მიზეზების ერთ-ერთი მაგალითია გენდერული ნიშნით ძალადობა კონფლიქტში, რომლის კონტროლი ინდივიდუალურ დონეზე შეუძლებელია. ტრავმის სისტემური ზემოქმედების მაგალითია ტრანსგენერაციული ზემოქმედება, რომელსაც ის ტოვებს კონფლიქტის ან ომის შემდეგ, რაზეც ძალიან რთულია რეაგირება სისტემური ცვლილებებისა და ჩარევების გარეშე.

ბ. ტრავმისადმი სენსიტიური მიდგომა

ყველა მონაწილე შემოდის ტრენინგის ოთახში საკუთარი ისტორიით. ზოგჯერ მათი ისტორია შეიძლება მოიცავდეს ტრავმული მოვლენების გამოცდილებას, განსაკუთრებით თუ ტრენინგი ტარდება ადამიანებისთვის, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ გაჭიანურებულ, მიმდინარე ან წარსულში კონფლიქტურ ან საომარ სიტუაციებში.

ტრავმის შესახებ ინფორმირებული ტრენინგის ჩასატარებლად საჭირო ძირითადი ეტაპები:

- **უპირატესობა მიანიჭეთ უსაფრთხოებას** – როდესაც ადამიანები განიცდიან ტრავმას, სწავლა მეორე ადგილზეა, ვიდრე თავს უსაფრთხოდ არ იგრძნობენ. იმის გამო, რომ ტრავმა არღვევს ზრუნვისა და დაცვის სოციალურ სისტემებს, მნიშვნელოვანია ტრენინგის ოთახში უსაფრთხო სივრცის შექმნა, სადაც აღდგება თავდაჯერებულობა და სხვების მიმართ ნდობა. ფასილიტატორები წინასწარ აცნობენ მონაწილეებს ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ, თუ მათ დახმარება დასჭირდებათ, იმ შემთხვევაში თუ მათი მდგომარეობის პროვოცირება ტრენინგის დროს მოხდა. მეორეს მხრივ, ფასილიტატორები რეალისტურად უნდა იყვნენ განწყობილნი ხელმისაწვდომი მხარდაჭერისა და საკუთარი, როგორც ფასილიტატორის საზღვრების შესახებ. მნიშვნელოვანია აცნობოთ მონაწილეებს, რომ თქვენ არ ხართ ფსიქოთერაპევტი და რომ ტრენინგის დროს თქვენი ფუნქციები შეზღუდულია.
- **წაახალისეთ არჩევანი და ავტონომია** – ტრავმა ასუსტებს და უმწეობის გრძნობას ბადებს ადამიანში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ერთჯერად ინციდენტზე ხანგრძლივია. მიეცით ტრენინგის მონაწილეებს საშუალება ჰქონდეთ გარკვეული სახის კონტროლი ტრენინგებზე, რაც მათ დაეხმარება თავი იგრძნონ უფრო ავტონომიურად. ამის მიღწევის მრავალი გზა არსებობს. მაგალითად, სთხოვით მონაწილეებს შემთხვევითობის პრინციპით, განსაკუთრებით მათ, ვინც მოქმედებენ ტრავმის გამო, გახდნენ მოხალისეები ტრენინგის პროცესში. გარდა ამისა, მიეცით მონაწილეებს საშუალება აირჩიონ სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები ან აქტივობები ტრენინგის დროს ან თავად შესთავაზონ ზოგიერთი აქტივობა. ასევე, ნება დართეთ მათ უარი თქვან ზოგიერთ აქტივობაზე, თუ მათ არ სურთ მონაწილეობა.

6 მედიკა მონდიალე. ლექსიკონი: ფსიქოლოგიური ტრავმა; სტემ – სტრესი – და ტრავმისადმი სენსიტიური მიდგომა. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე – <https://medicamondiale.org/>. მიღებულია 31 ივლისს, 2023წ.

- **გაცნობიერეთ ტრავმის გავრცელება და გავლენა** – როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრავმა არის არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სისტემური გამოცდილება. ტრენინგის ჩატარებამდე ფასილიტატორებმა მეტი უნდა იცოდნენ ტრენინგის ჩატარების ადგილის საზოგადოების ან ქვეყნის ტრანსგენერაციული ტრავმის კონტექსტისა და ისტორიის შესახებ. გარდა ამისა, იმის აღიარება, თუ როგორ შეიძლება გამოვლინდეს ტრავმა ინდივიდებში სხვადასხვა გზით, დაგეხმარებათ, როგორც ფასილიტატორმა, აღიაროთ და პატივი სცეთ თქვენი მონაწილეების წარსულ გამოცდილებას.
- **ითანამშრომლეთ ტრენინგის მონაწილეებთან** – როდესაც ადამიანები განიცდიან ტრავმას, სწავლა ურთიერთობის შემდეგ მეორე ადგილზეა. ტრენინგის ჩატარებისას, თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ყველა მონაწილეს შეუძლია ღირებული წვლილის შეტანა და გამოხატეთ ეს სიტყვიერად.
- **გამოიყენეთ გენდერულად სენსიტიური ინტერსექციური მიდგომა** – როგორც ფასილიტატორმა, იცოდეთ, რომ ტრავმას აქვს კულტურული, გენდერული და სოციალური ასპექტები. ერთი და იგივე ინციდენტი შეიძლება განსხვავებულად იქნეს განცდილი არა მხოლოდ ინდივიდუალური მახასიათებლების, არამედ ისეთი ასპექტების გამო, როგორცაა სქესი, ასაკი, სტატუსი და წარმომავლობა.
- **წახალისეთ უნარების განვითარება** – ტრენინგის ჩატარების დროს, გაუზიარეთ მონაწილეებს ინსტრუმენტები სტრესსა და დისრეგულაციასთან გასამკლავებლად. ის დაეხმარება ტრენინგის მონაწილეებს, თავი იგრძნონ ემოციურად უფრო მყარად და მზად როგორც ტრენინგის პროცესისთვის, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ონლაინ და ოფლაინ ტრენინგი

ეს ტრენინგი ძირითადად შექმნილია ოფლაინ ფორმატში ჩასატარებლად. თუმცა, ფასილიტატორები არ უნდა გრძნობდნენ თავს შეზღუდულად და შეუძლიათ მისი ონლაინ ჩატარებაც. ამისათვის, გზამკვლევი მოიცავს ონლაინ ტრენინგის ჩატარების მეთოდებს.

ოფლაინ ტრენინგი

ოფლაინ ტრენინგის ჩატარებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ის განკუთვნილია მაქსიმუმ 8 – 12 მონაწილისთვის. ეს რიცხვი ოპტიმალურია ტრენინგის ჩასატარებლად, სადაც ფასილიტატორის ყურადღება თანაბრად ეთმობა ყველა მონაწილეს და თითოეული მონაწილე გრძნობს, რომ მას ხედავენ და მისი ესმით. გარდა ამისა, მცირე ჯგუფებში მონაწილეებს მეტი შანსი აქვთ გამოიყენონ დრო რეფლექსიებისთვის და მნიშვნელოვანი დისკუსიებისთვის. როდესაც ორის ნაცვლად ერთი ფასილიტატორია (რაც შესაძლებელია მწირი რესურსების პირობებში), 12-ზე მეტი მონაწილისთვის ტრენინგის ჩატარება შეიძლება რთული იყოს და მეტ ენერგიასაც მოითხოვდეს. შედეგად, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ტრენინგის ხარისხზე. ოფლაინ ტრენინგის ჩატარების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ რჩევები ფასილიტატორის ინსტრუქციებში წინამდებარე თავის დასაწყისში.

ონლაინ ტრენინგი

ონლაინ ტრენინგის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ის განკუთვნილია მაქსიმუმ 15 მონაწილისთვის.

ონლაინ ტრენინგის ჩასატარებლად ცნობილი პლატფორმა არის Zoom, თუმცა შესაძლებელია სხვა პლატფორმების გამოყენებაც, როგორცაა Google Meets. რა პლატფორმასაც არ უნდა ანიჭებდნენ უპირატესობას ფასილიტატორები, მნიშვნელოვანია მათთან გაცნობა მონაწილეებთან მის გამოყენებამდე. ძირითადი ტრენინგის დაწყებამდე რეკომენდებულია ორი ან სამი საცდელი ჩართვის გაკეთება, რათა დატესტოთ სესიის ოთახის ფუნქციები (მაგ.: ეკრანის გაზიარება, სასაუბროს ერთდროულად გამოყენება ტრენინგის ჩატარებისას ან თარგმანის ფუნქციის გამოყენებით, ტრენინგის თარგმანის შემთხვევაში). ვინაიდან ამ ტრენინგისთვის ონლაინ მონაწილეთა რეკომენდებული რაოდენობა არ აღემატება 15-ს, Zoom-ის უფასო ვერსია შეიძლება საკმარისი იყოს.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია რისკებისა და უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინება მსგავს სენსიტიურ თემაზე ონლაინ ტრენინგის ჩატარებისას. ფასილიტატორმა უნდა ჰკითხოს თითოეულ მონაწილეს, თავს უსაფრთხოდ გრძნობს თუ არა არჩეული ონლაინ პლატფორმასთან მიმართებაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სენსიტიურ თემებსა და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან საომარ ან კონფლიქტურ ვითარებაში, მის წინ ან შემდეგ. უსაფრთხოების საკითხები და რისკები არსებობს როგორც ოფლაინ, ისე ონლაინ ტრენინგის ჩატარებისას. თუმცა ონლაინ ტრენინგის ჩატარებისას, რისკები შეიძლება უფრო გაიზარდოს. მაგალითად, ვინაობისა და იდეების გამხელა, რომლებიც შეიძლება ონლაინ შევიწროების სამიზნე გახდეს გარკვეული ჯგუფების ან ინდივიდების მხრიდან, რომელთაც შესაძლოა ონლაინ ტრენინგებზე ჰქონდეთ წვდომა. ფასილიტატორმა უნდა იცოდეს ამ რისკების შესახებ. თუ რომელიმე მონაწილე თავს არ გრძნობს უსაფრთხოდ ონლაინ პლატფორმების გამოყენებისას, მათ უნდა მიეცეთ საშუალება გამოსატონ თავიანთი მღელვარება და მიეცეთ შესაძლებლობა თავი შეიკავონ ნებისმიერ სესიაში მონაწილეობის მიღებისგან, თუ ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებას.



ტრენინგის შესავალი სესია

მონაწილეთა და ფასილიტატორების გაცნობა „ყინულმჭრელი“ თამაშის საშუალებით, ძირითადი წესების დადგენა და მოლოდინების გაზიარება

ეს ნაწილი შეიქმნა იმისთვის, რომ ფასილიტატორებმა წარმატებით დაიწყონ ტრენინგი და ჩამოაყალიბონ უშუალო ურთიერთობა ტრენინგის მონაწილეთა შორის.

- ტრენინგის წარმატებით დასაწყებად აუცილებელია გახსნა იყოს მონაწილეთათვის საინტერესო. ამ მიზნით, ფასილიტატორებმა სიტყვა უნდა მისცენ მონაწილეებს, რათა მათ გაიცნონ ერთმანეთი და ფასილიტატორები მხიარულად და სახალისო გზით. გარდა ამისა, მონაწილეები უნდა დაფიქრდნენ ძირითად წესებზე ან შეთანხმდნენ ტრენინგის დროს ქცევასა და დამოკიდებულებებზე, ასევე გამოხატონ თავიანთი მოლოდინები ტრენინგის შინაარსთან და პროცესთან დაკავშირებით.
- მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ტრენინგის დროს ყოველთვის იქნებიან მონაწილეები, რომელთაც სწავლების განსხვავებული სტილი გააჩნიათ, და შესაბამისად, ზოგიერთი თამაში/სავარჯიშო, შესაძლოა მისაღები იყოს ადამიანთა ერთი ჯგუფისთვის, და მიუღებელი მეორესთვის. ამრიგად, მნიშვნელოვანია თამაშებისა და სავარჯიშოების მონაწილეთა სწავლების სტილთან შეთავსება.
- ტრენინგის მიზნების ფემინისტური პრინციპების დაცვით, ძალზე მნიშვნელოვანია იერარქიული ძალაუფლების ურთიერთობების დეკონსტრუქცია ტრენინგის დაწყებიდანვე. ფასილიტატორის როლი მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას მონაწილეებისთვის თანასწორი გარემო.

მისალმება და „ყინულმჭრელის“ მაგალითები (10 წუთი)

ფასილიტატორები პასუხისმგებელნი არიან მონაწილეების მისალმებაზე, მათ გაცნობაზე (საკმარისია მხოლოდ სახელები გაზიარება, ხოლო მათი სტატუსის, თუ რეგალიების, სამუშაო ადგილის ან ორგანიზაციის მითითება არ არის აუცილებელი) და ყველას შეახსენონ ტრენინგის საერთო მიზნები და თემები.

„ყინულმჭრელის“ მაგალითები:

1. „ორი სიმართლე და ტყუილი“

სთხოვეთ მონაწილეებს დაფიქრდნენ და გაუზიარონ ჯგუფს ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი მტკიცებულება საკუთარ თავზე. ჯგუფის დანარჩენი წევრები შეეცდებიან გამოიცნონ რომელი მტკიცებულებაა ტყუილი. მოიყვანეთ მაგალითი: დაიწყეთ როგორც ფასილიტატორმა და გააზიარეთ ორი ჭეშმარიტი და ერთი მცდარი მტკიცებულება თქვენს შესახებ. „ყინულმჭრელის“ მაგალითი მოცემულია ქვემოთ.

ფასილიტატორი: „აი ჩემი მტკიცებულებებიც: ა) მე ვიმოგზაურე თვრამეტ სხვადასხვა ქვეყანაში; ბ) მყავს ორი კატა; და გ) მე ვნახე ჩრდილოეთის ნათება.“

მონაწილეები იწყებენ გამოცნობას, რომელი მტკიცებულებაა ტყუილი.

ფასილიტატორი ამბობს, თუ რომელი მტკიცებულებაა ტყუილი: „ტყუილი არის გ) მე ვნახე ჩრდილოეთის ნათება. ვისურვებდი, რომ გამეკეთებინა; თუმცა, აქამდე შანსი არ მქონია.“
 მონაწილეები რიგრიგობით უზიარებენ თავიანთ ორ სიმართლეს და ტყუილს და ჯგუფი აგრძელებს გამოცნობას, რომელი მტკიცებულებაა ტყუილი.

2. “Human Bingo” („ადამიანური ბინგო“)

მოიწვიეთ მონაწილეები ითამაშონ თამაში სახელწოდებით “Human Bingo”. დაურიგეთ მათ ბინგოს ბარათი სხვადასხვა განცხადებებით. წინასწარ მოამზადეთ და ამობეჭდეთ იმდენი ბარათი, რამდენი მონაწილეა. აუხსენით მონაწილეებს, რომ მათი ამოცანაა ოთახში იპოვონ მონაწილე, რომელიც შეესაბამება ყველა მტკიცებულებას. როდესაც ისინი იპოვიან ვინმეს, რომელიც შეესაბამება ყველა მტკიცებულებას, სთხოვეთ მათ ხელი მოაწერონ შესაბამის კვადრატს ბარათის ქვეშ. თამაშის მიზანია შეავსოთ ბინგოს ბარათი, რაც შეიძლება სწრაფად. “Human Bingo” ბარათის მაგალითი მტკიცებულებებით:

განცხადებები	მონ.1	მონ.2	მონ.3	მონ.4	მონ.5	მონ.6
1. იმოგზაურა სამზე მეტ ქვეყანაში.						
2. საუბრობს ერთზე მეტ ენაზე.						
3. ჰყავს შინაური ცხოველი.						
4. უყვარს ლაშქრობა ან გარე აქტივობები, როგორცაა ველოსიპედის ტარება, სერფინგი, კემპინგი და ა.შ.						
5. წაიკითხა წიგნი წინა თვეში.						
6. აქვს საყვარელი სამზარეულო.						
7. შეუძლია ცურვა.						
8. შეუძლია სამი ობიექტით ჟონგლირება.						
9. სიამოვნებით ამზადებს ან აცხობს.						
10. ავიდა მთაზე.						
მონაწილის სახელი ან ხელმოწერა, რომელიც შეესაბამება ყველა მტკიცებულებას.						

სთხოვეთ მონაწილეებს იპოვონ ადამიანები, რომლებიც ემთხვევა მტკიცებულებებს. აქტივობის მიზანია მონაწილეების ერთმანეთთან უკეთ გაცნობა. მადლობა გადაუხადეთ მონაწილეებს თამაშის ბოლოს, როდესაც ყველა მონაწილეს ექნება საშუალება ჩაერთოს და ისაუბროს.

3. „რა არის შენი სახელი?“

ტრენინგის დაწყებამდე მოიწვიეთ მონაწილეები მორიგეობით, რათა ისაუბრონ თავიანთ სახელებზე, ამბავზე ან ფაქტზე იმის შესახებ, თუ როგორ აირჩიეს მათი სახელი ან რა მნიშვნელობა აქვს მას. დაიწყეთ „ყინულმჭრელი“ საკუთარი მაგალითით და გააზიარეთ ამბავი ან ფაქტი თქვენი სახელის შესახებ.

4. „გააზიარეთ მნიშვნელოვანი ობიექტი“

მოიწვიეთ მონაწილეები, რომ დაიწყონ შესავალი მათთვის მნიშვნელოვანი ნივთის გაზიარებით, რაც მათ თან აქვთ. ეს შეიძლება იყოს ფოტო, სუვენირი, გასაღების საკიდი, სამკაული ან რაიმე სხვა. სთხოვეთ მონაწილეებს აჩვენონ ჯგუფს ნივთი და თქვან, რატომ არის ეს მათთვის მნიშვნელოვანი. დაიწყეთ „ყინულმჭრელი“ საკუთარი მაგალითით. როგორც ფასილიტატორმა გააზიარეთ/აჩვენეთ ნივთი, რომელიც თქვენთვის მნიშვნელოვანია და თან გაქვთ ტრენინგის დროს.

5. „ჩემი სახელი და სუპერ ძალა“

ტრენინგის დაწყებამდე ჩართეთ მონაწილეები „ყინულმჭრელ“ სახალისო აქტივობაში. სთხოვეთ მონაწილეებს მორიგეობით გააცნონ თავი თავიანთი სახელის მითითებით და შემდეგ გაუზიარონ ერთმანეთს „სუპერ ძალა“, რომელიც მათ სურთ ჰქონდეთ. ეს შეიძლება იყოს ფრენის, ნებისმიერ უცხო ენაზე საუბრის, აზრების წაკითხვის, დროში მოგზაურობის უნარი, წარსულის ან მომავლის ადამიანებთან შესახვედრად.

ზემოთ მოყვანილი თითოეული „ყინულმჭრელის“ მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდი და უშუალო ატმოსფეროს შექმნას და ასევე მისცეს მონაწილეებს პირადი ურთიერთობების დამყარების საშუალება. დაიმახსოვრეთ, რომ მოარგოთ ნებისმიერი არჩეული ყინულმჭრელი თქვენი ჯგუფის მასშტაბს და თქვენი მონაწილეების პრეფერენციებს.

„ყინულმჭრელის“ დასასრულს, მადლობა გადაუხადეთ ყველას მასში მონაწილეობისთვის და გადადით შემდეგ ეტაპებზე: 1) ტრენინგის ძირითადი წესების დადგენა, 2) მოლოდინების გაზიარება და 3) ფასილიტატორისა და საჭირო მასალების მომზადება.

ძირითადი წესების დადგენა (5 წუთი)

„ყინულმჭრელი“ თამაშის შემდეგ შეახსენეთ მონაწილეებს ტრენინგის დროს გარკვეული წესების არსებობისა და დაცვის მნიშვნელობის შესახებ. სთხოვეთ მონაწილეებს თავად დააწესონ წესები. გახსოვდეთ, რომ ჩამონათვალში შეიტანოთ წესები კონფიდენციალურობის, პატივისცემის და არაძალადობრივი კომუნიკაციის შესახებ. ასევე ჩართეთ წესები სესიებზე დროულად გამოცხადების შესახებ, თუ მონაწილეები გამოტოვებენ რომელიმე მათგანს.

მოლოდინების გაზიარება (5 წუთი)

შესთავაზეთ მონაწილეებს ერთი წუთი დაუთმონ და ჩაწერონ თავიანთი მოლოდინები ტრენინგის შესახებ ნებოვან ფურცლებზე და მიამაგრონ ისინი დაფაზე ან კედელზე. შეახსენეთ მათ, რომ ტრენინგის ბოლოს მონაწილეები გადახედავენ ჩანაწერებს და ნახავენ, გამართლდა თუ არა ისინი.

ფასილიტატორისა და საჭირო მასალების მომზადება

ტრენინგის დასაწყისისთვის ფასილიტატორებმა მონაწილეებს უნდა მიაწოდონ ფერადი ნებოვანი ფურცლები, ჭიკარტები, მარკერები, ფანქრები, ფლიპჩარტი ან დაფა მარკერებით.

მოდული 1: ომის გავლენა ქალებსა და გოგონებზე

შესავალი

პირველი ტრენინგის მოდული შექმნილია იმისთვის, რომ შეისწავლოს და გამოიკვლიოს შეიარაღებული კონფლიქტის გავლენა ქალებსა და გოგონებზე, მათ შორის მისი გადაკვეთის წერტილი სხვა რისკ ფაქტორებთან, როგორცაა ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია და ეთნიკური წარმომავლობა, სადაც ძალადობის ზემოქმედება და დაუცველობის დონე შეიძლება კიდევ უფრო დიდი იყოს. ის ასევე გვანვდის ინფორმაციას გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპური ფორმების შესახებ ომის დროს და მის შემდგომ პერიოდში. შეიარაღებული კონფლიქტის გენდერული ზეგავლენის გააზრებამ ქალებსა და გოგონებზე და სხვა მონაცვლად ჯგუფებზე შეიძლება პროფესიონალებს/დაინტერესებულ მხარეებს საშუალება მისცეს განიხილონ და ზუსტად ასახონ კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების საჭიროებები თავიანთ პროგრამებსა თუ ინტერვენციებში, მათ მიმართ ყოვლისმომცველი და გენდერულად სენსიტიური მიდგომით.

სასწავლო მიზნები

- მონაწილეებმა უკეთ გაიგონ ქალებსა და გოგონებზე შეიარაღებული/ძალადობრივი კონფლიქტის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შესახებ.

- მონაწილეთა ცოდნის გაზრდა შეიარაღებული კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში გენდერული ძალადობის ტიპური ფორმების შესახებ.

- მონაწილეების მიერ მონაცვლადი ჯგუფების იდენტიფიცირების უზრუნველყოფა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

- მონაწილეთა ცოდნისა და აღქმის გაღრმავება იმის შესახებ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა ქალებსა და გოგონებზე და როგორ იკვეთება ის სხვა რისკ ფაქტორებთან, როგორცაა ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია, ეთნიკური წარმომავლობა და ა.შ.

- მონაწილეთათვის უსაფრთხო სივრცის შექმნა, რათა მათ შეძლონ თავიანთი გამოცდილების გაზიარება კონფლიქტებისა და ძალადობის შესახებ და ფორუმის შექმნა, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა ისწავლონ ამ გამოცდილებიდან.

მასალები

- მოამზადეთ PowerPoint-ის პრეზენტაცია (დამოკიდებულია ფასილიტატორზე).
- დაფა/ფლიპჩარტი ბარათების დასამაგრებლად.
- ფერადი მარკერები, ფანქრები, კალმები, ნებოვანი ბარათები, ჭიკარტები.
- სამუშაო მასალების ბეჭდური/ელექტრონული ვერსიები.
- ონლაინ ტრენინგისთვის ფასილიტატორმა წინასწარ უნდა მოამზადოს სესიის ოთახები და დაყოს მონაწილეები კონკრეტულ ჯგუფებად; განიხილეთ ონლაინ ინსტრუმენტები ბრეინშტორმინგისთვის (მაგალითად, IdeaFlip, IdeaBoardz, Jamboard ან სხვა აპლიკაციები).

რჩევები ფასილიტატორისთვის

- წინამდებარე მოდული ეფუძნება გზამკვლევის მე-4 თავს: „ომის ზეგავლენა ქალებსა და გოგონებზე: ომის შედეგები ქალებსა და გოგონებზე და ქალთა მიმართ ძალადობასთან ურთიერთგადაძვეთი განზომილებები; გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპური ფორმები ომის დროს და ომის შემდეგ“. შესაძლოა სასარგებლო იყოს ამ თავის წაკითხვა სესიის ჩატარებამდე, რადგან ის იძლევა დამატებით ინფორმაციას და მაგალითებს იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს სქესს შეიარაღებული კონფლიქტის გამოცდილებაზე.
- გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმებზე მსჯელობა შეიძლება იყოს ემოციური და პირადი ხასიათის, რადგან ბევრ ადამიანს, განსაკუთრებით კონფლიქტურ გარემოში, პირადად ან მის ახლობელს განუცდია სექსუალური/გენდერული ძალადობა. თუ რომელიმე მონაწილისთვის ეს საკითხი განსაკუთრებით მტკივნეულია, ფასილიტატორებს უნდა ჰქონდეთ გეგმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მაგალითად, შესთავაზონ მონაწილეს ოთახის დატოვება შესვენების მიზნით, ან თავი შეიკავონ ამ მონაწილეთა კითხვების დასმისგან ან დისკუსიაში მათი ჩართვისგან.
- ფასილიტატორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგიერთ კონსერვატიულ გარემოში კონკრეტულ გენდერულ საკითხებზე საუბარი შესაძლოა სენსიტიური იყოს. იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ შეგიძლიათ შემოიტანოთ თემები და შეასრულოთ სავარჯიშოები, რომლებიც კულტურულად მისაღები და შესაბამისია, რათა არ შექმნათ წინააღმდეგობები.
- სასურველია, მოამზადოთ შემდეგი ინფორმაციის შემცველი დასარიგებელი მასალა მონაწილეთათვის: ომის ფაზების განმარტებები; გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმის განმარტება; შეიარაღებული კონფლიქტის დროს გენდერული ძალადობის ტიპური ფორმების ჩამონათვალი; შეიარაღებული კონფლიქტის გავლენა საზოგადოების სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებზე, როგორცაა ბავშვები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ. (გზამკვლევის კონკრეტული გვერდების მითითებით). ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფური მუშაობისთვის წერილობითი მითითებების მომზადება და გავრცელება (ამობეჭდილი ან ელექტრონული ვერსია, თუ ტრენინგი ჩატარდება ონლაინ რეჟიმში).

მოდულის მიმოხილვა

მიმოხილვა		
დრო	შინაარსი	ხანგრძლივობა სულ 125 წუთი
	1] მონაწილეთათვის სასწავლო მიზნებისა და აქტივობის გაცნობა	5 წუთი
	2] ქალებსა და გოგონებზე კონფლიქტების პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების მოკლე მიმოხილვა - ბრენინგტორმინგი	15 წუთი
	3] გენდერული ძალადობის ტიპური ფორმების შესწავლა კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში - თეორია	15 წუთი
	4] მცირე ჯგუფური დისკუსია	25 წუთი
	5] ჯგუფის უკუკავშირი	15 წუთი

6]	სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება შეიარაღებული კონფლიქტის დროს და ომის კონკრეტული შედეგების შესწავლა მათ ცხოვრებაზე	10 წუთი
7]	მცირე ჯგუფური დისკუსია და რეფლექსია	30 წუთი
8]	სესიის დასრულება	10 წუთი

ტრენინგ სესიის გეგმა

1] სასწავლო მიზნებისა და ტრენინგის საფუძვლის გაცნობა (5 წუთი)

- ფასილიტატორი მოკლედ აცნობს ტრენინგის მონაწილეებს სესიის სასწავლო მიზნებს.
- ფასილიტატორი აუდიტორიას ამცნობს, რომ ამ სესიის მიზანია გაიგონ ომის სხვადასხვა ზემოქმედების შესახებ ქალებზე, გოგონებზე და საზოგადოების სხვა მოწყვლად ჯგუფებზე და განმარტავს, რომ არსებობს განსხვავება შეიარაღებული კონფლიქტის პირდაპირ და არაპირდაპირ გავლენას შორის კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე. წარსულში კონფლიქტის გენდერული გავლენა ძირითადად ფოკუსირებული იყო სექსუალურ და გენდერულ ძალადობაზე, თუმცა აუცილებელია მთელი რიგი გენდერული საკითხებისა და რისკის ფაქტორების გათვალისწინება ომის გენდერული შედეგების უკეთ გასაგებად და ეფექტური რეაგირების პოლიტიკისა და სტრატეგიების შესამუშავებლად.

2] შეიარაღებული კონფლიქტის პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედება - დისკუსიის სტიმულირება ბრენშტორმინგის საშუალებით (15 წუთი)

ოფლაინ ტრენინგისთვის

- ფლიპჩარტის ფურცელზე დახაზეთ ორი სვეტი, ერთი სვეტი შეიარაღებული კონფლიქტის პირდაპირი და ერთი არაპირდაპირი ზემოქმედებისთვის.
- სთხოვეთ მონაწილეებს მოიყვანონ მაგალითები ორივე ტიპის ზემოქმედების შესახებ და რატომ ფიქრობენ, რომ მნიშვნელოვანია ორივეს გათვალისწინება/გაანალიზება. თუ თქვენ გჭირდებათ დისკუსიის გააქტიურება, გაუზიარეთ რამდენიმე მაგალითი მონაწილეებს.

ომის პირდაპირი ზემოქმედების მაგალითები	ომის არაპირდაპირი ზემოქმედების მაგალითები
მკვლევლობები, ჭრილობის მიყენება, გაზრდილი სექსუალური და გენდერული ძალადობა, ოჯახების დაშლა, დაავადებები, იძულებით გადაადგილება, მიგრაცია, დაქვრივება, ქონების და შემოსავლის დაკარგვა და ა.შ.	გრძელვადიანი შედეგები, რომლებიც ადამიანებს სოციალურ, ემოციურ და ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს, გავლენას ახდენს ეკონომიკურ მაჩვენებლებზე და ადამიანების კეთილდღეობაზე. ჯანდაცვაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ნეგატიური ზემოქმედება რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, ტრავმა, დეპრესია, სიღარიბე, სოციალური ქსელების რღვევა, უმუშევრობა და ა.შ.

ონლაინ ტრენინგისთვის

- ფასილიტატორმა ბრენშტორმინგისთვის უნდა შექმნას ახალი ვირტუალური დაფა ტრენინგის დაწყებამდე ნებისმიერი სასურველი აპლიკაციის გამოყენებით (IdeaFlip, Jamboard და ა.შ.). როდესაც ბრენშტორმის დრო დადგება, გააზიარეთ ტრენინგის მონაწილეთა „ჩატში“ თქვენი დაფის ბმული. სთხოვეთ ყველას, პირველ რიგში დაწერონ თავიანთი იდეები ცალკე დოკუმენტში. შემდეგ, რიგრიგობით შექმენით ერთი შენიშვნა თითოეული იდეისთვის. გააზიარეთ დაფიანი ეკრანი, რათა აჩვენონ იდეები და დაიწყოს დისკუსია. მსგავსი იდეების დასაჯგუფებლად, უბრალოდ გადაიტანეთ ისინი ერთად, ან დახაზეთ ჩარჩო მათ გარშემო.

3] ძალადობის ტიპური ფორმები კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში - თეორიული ნაწილი (15 წუთი)

- ფასილიტატორი იძლევა თეორიულ ინფორმაციას ომის ფაზებზე გზამკვლევის შინაარსზე და მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. შემდეგ იძლევა მოკლე მიმოხილვას გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპური ფორმების შესახებ ომის დროს და მის შემდგომ. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ.

საომარი ვითარება და საგანგებო მდგომარეობა

როდესაც პირდაპირი ფიზიკური ძალადობა ყველაზე ინტენსიურია ეს არის კონფლიქტის პიკი. ეს ის დროა, როცა ყველა მხრიდან კლავენ ადამიანებს. მხარეებს შორის ნორმალური კომუნიკაცია სავარაუდოდ შეწყდა. საჯარო განცხადებები, როგორც წესი, არის ბრალდებების სახით, რომლებიც გაკეთდა მეორე მხარის(ების) წინააღმდეგ.

[უიარაღო სამოქალაქო დაცვა, შესავალი კურსი 5 მოდულში, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე https://nonviolentpeaceforce.org/wp-შინაარსი/uploads/archive/UCPManual/2021_Course_Manual__Full_Text.pdf]

გაჭიანურებული კონფლიქტი

„გაჭიანურებული“ შეიარაღებული კონფლიქტები შეიძლება იყოს ეპიზოდური, ციკლური ან „გაყინული“. ის ხასიათდება ხანგრძლივი აჯანყებებით, მრავალწლიანი ოკუპაციით ან ომებით, სადაც ძალადობის დონე შედარებით დაბალია, ვიდრე ტრადიციულად ასოცირდება შეიარაღებულ კონფლიქტთან. მდგომარეობა მერყეობს კონფლიქტის გადანაცვლასა და ესკალაციას შორის. ომები და მათი ყოვლისმომცველი დესტრუქციული ძალა ხდება უფრო ხანგრძლივი, გაცილებით რთულად მოსაგვარებელი და ამასთანავე ნაკლებად სავარაუდოა მათი პოლიტიკურად მოგვარება.

[გაჭიანურებული კონფლიქტები: უსასრულო ომის გრძელვადიანი მემკვიდრეობა, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://international-review.icrc.org/articles/protracted-conflicts-enduring-legacy-endless-war-ir912>]

პოსტკონფლიქტური ვითარება

პოსტკონფლიქტური კონტექსტი არის გარდამავალი პერიოდი, რომელიც შემოიფარგლება წარსული ომითა და მომავალი მშვიდობით. ამ ფაზაში საგრძნობლად შემცირებულია ძალადობის დონე. აღნიშნული ვითარება ხასიათდება ნაკლები დაძაბულობით და შედარებით ნორმალური ურთიერთობებით კონფლიქტის სხვადასხვა მხარეებს შორის, რაც იძლევა არაძალადობრივი პოლიტიკური ბრძოლის საშუალებას.

[უიარაღო სამოქალაქო დაცვა, 5 მოდულიანი შესავალი კურსი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე https://nonviolentpeaceforce.org/wp-შინაარსი/uploads/archive/UCPManual/2021_Course_Manual__Full_Text.pdf]

გენდერული ძალადობის ტიპური ფორმები ომის დროს და ომის შემდეგ (გზამკვლევის თავი 4):

ქალები განიცდიან ძალადობას ომის დროს და ასევე „პოსტკონფლიქტურ“ ან ომის შემდგომ კონტექსტში, როდესაც არ არის ომი ან კრიზისი. ომის დროს ქალები განიცდიან ძალადობის საგანგაშო მასშტაბებს: გაუპატიურების მუქარა, ოჯახური ძალადობა, ტრეფიკინგი (გატაცება და სექსუალური მონობა), იძულებითი ქორწინება და ორსულობა, სექსუალური დამცირება საკუთარ სახლებში, დევნილთა ბანაკებში ან ძალადობისგან თავის დაღწევისას). გენდერული ძალადობის ჩამდენი არ შემოიფარგლება მხოლოდ შეიარაღებული პირებით, არამედ მოიცავს სამთავრობო უსაფრთხოების პერსონალს, სამშვიდობოებს და სამოქალაქო პირებს. გენდერული ძალადობა უცვლელად გრძელდება პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში და ზოგიერთი ტიპის ძალადობა შეიძლება გაიზარდოს კიდევ. ქალები აწყდებიან ოჯახში ძალადობის მაღალ დონეს, განიცდიან შეზღუდულ წვდომას ძირითად სერვისებზე, გარიყულნი არიან გადანაცვლების მიღებისა და ხელმძღვანელი პოზიციებიდან სამუშაო ადგილებზე და იტანენ ყოველდღიურ დისკრიმინაციას მათი სქესის და გენდერული როლების გამო.

4] ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ტიპების განხილვა სამუშაო ფურცლებით - ჯგუფური მუშაობა (25 წუთი)

- სამუშაო ფურცელი: გენდერული ნიშნით ძალადობა კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში

	„ომამდელი პერიოდი“	„საომარი ვითარება“	„ომის შემდგომი კონტექსტი“
ქალთა მიმართ ძალადობის ფიზიკური/სექსუალური ფორმები			
ქალთა მიმართ ძალადობის ფსიქოლოგიური ფორმები (ანუ ემოციური ძალადობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა)			
ძალადობის სტრუქტურული ფორმები (სისტემური დისკრიმინაცია, რომელიც ხელს უშლის ქალებს მათი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში, როგორცაა ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ადეკვატური განათლება, საკუთრების ფლობა, როგორცაა მიწა, შრომითი უფლებები და კარგი სამსახურის მიღება)			

ოფლაინ ტრენინგისთვის

- დაყავით ჯგუფი სამ მცირე ჯგუფად. დაურიგეთ სამუშაო ფურცელი სამი სვეტით 1. გენდერული ნიშნით ძალადობა „ომამდელ პერიოდში“; 2. გენდერული ნიშნით ძალადობა „ომის დროს“; 3. გენდერული ნიშნით ძალადობა „ომის შემდგომ“ კონტექსტში.
- სთხოვეთ პირველ ჯგუფს შეავსოს პირველი სვეტი ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სტრუქტურული ძალადობის შესახებ „ომამდელ პერიოდში“; მეორე

ჯგუფმა შეავსოს მეორე სვეტი იმავე ტიპის ძალადობის შესახებ „ომის დროს“; და მესამე ჯგუფმა შეავსოს მესამე სვეტი ძალადობის შესახებ „ომის შემდგომ კონტექსტში“. ეს საშუალებას მისცემს ჯგუფს გააანალიზოს, რა იცის და რას გრძნობს.

- თითოეული ჯგუფის მომხსენებელი აკეთებს მოკლე პრეზენტაციას სხვადასხვა ფაზაში ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სტრუქტურული ძალადობის ფორმებზე (თითოეული ჯგუფის უკუკავშირის ეთმობა სულ 15 წუთი – თითო ჯგუფს 5 წუთი).
- დისკუსიის შეჯამებისას, ჰკითხეთ მონაწილეებს სხვა ჯგუფებიდან, სურთ თუ არა დაამატონ ძალადობის სხვა ფორმა, ან რაიმე ახალი მოსაზრება ცხრილში (მოყვანილია სამუშაო ფურცლის მაგალითი).

ონლაინ ტრენინგისთვის

- ფასილიტატორი განმარტავს დავალებას ჯგუფური მუშაობისთვის და სასაუბროს საშუალებით უზიარებს მონაწილეებს სამუშაო ფურცლის ელექტრონულ ვერსიას. შემდეგ, ტრენინგის მონაწილეებს ყოფენ სამ-ოთხ ჯგუფად (3-4 მონაწილე თითო ჯგუფში). სასურველია, თუ ფასილიტატორი წინასწარ ანაწილებს ჯგუფის წევრებს კონკრეტულ ოთახებში სესიის დაწყებამდე ან, მონაწილეები შეიძლება შემთხვევით დაიყოს მცირე ჯგუფებად სესიის დროს, მეორე ფასილიტატორის ან ტექნიკური დამხმარე პირის მიერ, რომელიც ეხმარება ფასილიტატორს. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, თითოეული ოთახიდან გამოყონ პირი, რომელიც შეავსებს სამუშაო ფურცელს. ჯგუფური მუშაობისთვის გამოყოფილი დროის გასვლის შემდეგ მონაწილეები ბრუნდებიან მთავარ ოთახში. სთხოვეთ თითოეული ჯგუფის ჩანაწერების მწარმოებელ პირს გააზიაროს ეკრანით, შევსებული სამუშაო ფურცელი და მოახსენოს ჯგუფური დისკუსიის შედეგი.

5] ჯგუფური დისკუსია (30 წუთი)

6] შეიარაღებული კონფლიქტის დროს სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფის იდენტიფიცირება და ომის/შეიარაღებული კონფლიქტის კონკრეტული შედეგების შესწავლა (10 წუთი)

- ფასილიტატორი უხსნის მონაწილეებს, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ხშირად აყენებს ადამიანებს დისკრიმინაციის და/ან ძალადობის გაზრდილი რისკის ქვეშ, განსაკუთრებით მონყვლად ჯგუფებს, როგორცაა ბავშვები, ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის ან ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, ლგბტქ+ ადამიანები და კონკრეტული ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობები. კონფლიქტურ ვითარებებში ამ ჯგუფების სპეციფიკური მონყვლადობისა და პრობლემების გათვალისწინების გარეშე, მათი საჭიროებები და პრიორიტეტები ადეკვატურად ვერ იქნება გადაწყვეტილი.

ოფლაინ ტრენინგისთვის

- მონყვლადი ჯგუფების სპეციფიკურ გამოწვევებზე, რისკებსა და პრობლემებზე დისკუსიის სტიმულირება მოხდება ჯგუფური მუშაობით, „მსოფლიო კაფე“ (World Cafe) მეთოდით.
- დაყავით მონაწილეები 4-5 ჯგუფად, კონკრეტული ტიპის მონყვლადობის მიხედვით (ბავშვები/ახალგაზრდები; მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები; ეთნიკური/რელიგიური უმცირესობა; ლგბტქ+ ადამიანები და ა.შ.).

- პროცესი იწყება საუბრის პირველი ათწუთიანი რაუნდით მცირე ჯგუფებისთვის (3-დან - 5 ადამიანამდე), რომლებიც სხედან მაგიდის გარშემო.
- თითოეულ ჯგუფს მიეცემა შემდეგი კითხვები განსახილველად (10 წუთის განმავლობაში თითო რაუნდში): რა კონკრეტული პრობლემები/გამოწვევები შეიძლება შეექმნას კონკრეტულ მოწყვლად ჯგუფს შეიარაღებული კონფლიქტის დროს?
- პირველი ტურის ბოლოს ჯგუფის თითოეული წევრი გადაინაცვლებს ახალ მაგიდასთან. ფასილიტატორი სთხოვს ერთ ადამიანს დარჩეს მაგიდასთან, როგორც „მაგიდის მასპინძელი“ მომდევნო რაუნდისთვის, ხოლო დანარჩენები „მოგზაურებად“ იქცევიან სხვა მაგიდებთან. „მოგზაურები“ თავიანთ იდეებსა და მოსაზრებებს აცნობენ ახალ მაგიდასთან, ხოლო „მაგიდის მასპინძელი“ მიესალმება მოგზაურთა ახალ ჯგუფს. მონაწილეების სხვა ჯგუფებთან საუბრის რამდენიმე რაუნდში ჩართვის შესაძლებლობის მიცემა ხელს უწყობს ყველა მონაწილის წვლილის შეტანას და აერთიანებს სხვადასხვა პერსპექტივებს.
- „მაგიდის მასპინძელი“ იწერს ძირითად იდეებს ფლიპჩარტზე. საუბრის მინიმუმ სამი რაუნდის შემდეგ მონაწილეებს შეუძლიათ დაუბრუნდნენ პირველ მაგიდას. „მაგიდის მასპინძელი“ აზიარებს ჯგუფური დისკუსიის შედეგებს და სხვებსაც სთავაზობენ თავიანთი იდეების ან დიდ ჯგუფთან საუბრის შედეგების გაზიარებას.

ონლაინ ტრენინგისთვის

- ფასილიტატორები ხსნიან დავალებას ჯგუფური მუშაობისთვის და ყოფენ ტრენინგის მონაწილეებს 3-4 ჯგუფად (3-4 მონაწილე თითო ჯგუფში) წინასწარ განსაზღვრული კონკრეტული ტიპის მოწყვლადობით. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს თითოეული ოთახიდან შეარჩიონ „მაგიდის მასპინძელი“, რომელიც გააკეთებს ჩანაწერებს ჯგუფური დისკუსიისას და დარჩება ერთ ოთახში სავარჯიშოს დასრულებამდე. პირველი ტურისთვის გამოყოფილი დროის გასვლის შემდეგ, „მოგზაურები“ გადაინაცვლებენ სხვა „მაგიდებთან“ (ოთახებში). საუბრის მინიმუმ სამი რაუნდის შემდეგ მონაწილეები დაბრუნდებიან მთავარ ოთახში. თითოეული „მაგიდის მასპინძელი“ აზიარებს დისკუსიის შედეგებს ჩანაწერების გაზიარებულ ეკრანზე ჩვენებით ან მათი წაკითხვით.

7] ტრენინგის დასრულება - რეფლექსია (10 წუთი)

- ტრენინგის დასასრულს, ფასილიტატორი მონაწილეებს სთავაზობს ენერჯაიზერებს, რათა მათ საშუალება მიეცეთ გამოიკვლიონ და დაფიქრდნენ იმაზე, თუ რას გრძნობენ მათ მიერ ნასწავლი მასალის მიმართ.

ოფლაინ ტრენინგისთვის

- სთხოვეთ ყველა მონაწილეს ადგნენ და დადგნენ წრიულად. სთხოვეთ, მოიფიქრონ ერთი სიტყვა, რომელიც აღწერს რას გრძნობენ სესიის/სავარჯიშოების/ცოდნის შეძენის შედეგად ნასწავლი მასალის მიმართ. შემდეგ, სთხოვეთ მათ, თავიანთი სახე და სხეული „სმაილად“ (emoticon) ან ქანდაკებად აქციონ, რომელიც ამ გრძნობას წარმოადგენს. როდესაც ყველამ შექმნა თავისი „სმაილი“, შემოიარეთ წრე და სთხოვეთ ხალხს თქვან სიტყვა, რომელზეც ფიქრობდნენ. როდესაც ყველა მონაწილე დაასრულებს საკუთარ გრძნობებზე საუბარს, გამოხატეთ მადლიერება, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი

გრძნობების გაზიარებისთვის. დაარწმუნეთ მონაწილეები, რომ ეს არის უსაფრთხო ადგილი გრძნობების გამოხატვისა და კითხვების დასმისთვის.

- ჰკითხეთ მონაწილეებს:
 - ხომ არ აქვს ვინმეს მოცემულ მომენტში საკუთარ გრძნობებზე მეტის გაზიარების სურვილი?
 - რა ისწავლეს სესიაზე, რაც აქამდე არ იცოდნენ? როგორ შეუძლიათ გამოიყენონ ამ სესიიდან მიღებული ცოდნა მომავალში?

თუ მონაწილეები გამოხატავენ დაბნეულობას, შეახსენეთ მათ ტრენინგის პროგრამა, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა დაფიქრდნენ და შეისწავლონ საკითხები.

 **ონლაინ ტრენინგისთვის**

- მადლობა გადაუხადეთ მონაწილეებს სესიის განმავლობაში საკუთარი აზრების გამოხატვისა და აქტიური მუშაობისთვის. სთხოვეთ, მოიფიქრონ და გაუზიარონ ერთმანეთს ერთი სიტყვა, რომელიც აღწერს მათ გრძნობებს სესიაზე ნასწავლ მასალასთან დაკავშირებით. თავიანთი გრძნობებისა და აზრების გაზიარების შემდეგ, აუხსენით მონაწილეებს შემდგომი ნაბიჯები, მათ შორის შესვენების დრო მომდევნო სესიამდე და მიეცით ძალიან მოკლე ინფორმაცია შემდეგი მოდულის თემის შესახებ. გარდა ამისა, შეახსენეთ მონაწილეებს ტრენინგის პროგრამა, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა, დაფიქრდნენ და შეისწავლონ დამატებითი საკითხები.



მოდული 2: ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები საომარ და ომის შემდგომ გარემოში

შესავალი

იმისათვის, რომ ეფექტურად გაუმკლავდნენ ქალებისა და გოგონების დაცვას ყველა ფორმის ძალადობისგან ომის დროს და პოსტკონფლიქტურ გარემოში, მონაწილეებმა უნდა გააცნობიერონ უწყებათა პასუხისმგებლობა გენდერული ძალადობის სფეროში და მათი კონკრეტული როლები სისტემაში. გარდა ამისა, მონაწილეებმა უნდა შეიტყონ სხვადასხვა მიდგომების შესახებ ძალადობის სხვადასხვა ფორმებთან მიმართებაში, რომლებსაც ქალები ომის დროს და ომის შემდგომ გარემოში განიცდიან.

სასწავლო მიზნები

- საომარ და ომის შემდგომ გარემოში ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორების სიღრმისეული გაგება.
- საომარ და ომის შემდგომ გარემოში ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორების განსხვავებული მიდგომების სიღრმისეული გაგება.

მასალები

- Power-Point-ის პრეზენტაციის პრეზენტაცია – დამოკიდებულია ფასილიტატორზე.
- ძაფის გორგალი.
- ქეისის შესწავლა/ამბავი ამობეჭდილია და დაურიგდა მონაწილეებს. ონლაინ ტრენინგის შემთხვევაში, ის უნდა იყოს გაზიარებული სასაუბროს საშუალებით.

რჩევები ფასილიტატორისთვის

- ეს მოდული დაფუძნებულია გზამკვლევის მე-3 თავზე: „ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები ომის დროს და ომის შემდგომ გარემოში“. რეკომენდირებულია ამ თავის წაკითხვა ამ მოდულის ფასილიტაციამდე, რადგან ის იძლევა დამატებით ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ არიან ჩართული სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები გენდერული ნიშნით ძალადობაზე სისტემურ რეაგირებაში.
- ფასილიტატორი უნდა გაეცნოს ქვეყნის სპეციფიკურ ვითარებას და იფიქროს გენდერულ ძალადობაზე არსებულ ინსტიტუციურ და არაინსტიტუციურ რეაგირებაზე, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მაგალითი მოდულის თეორიულ ნაწილში.
- მიეცით მონაწილეებს საშუალება, რომ ისაუბრონ თავიანთი ადგილობრივი თემის ძირითად აქტორებზე და გამართონ დისკუსია ღია ალტერნატიული მიდგომებისა და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა გზებზე (მაგალითად, რელიგიური წრის როლის მეშვეობით).

მოდული მიმოხილვა

მიმოხილვა		
დრო	შინაარსი	სანგრძლივობა სულ 55 წუთი
	1] თეორიული ნაწილი - ძირითადი აქტორები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქალებისა და გოგონების დაცვაზე ომის დროს და ომის შემდგომ გარემოში	15 წუთი
	2] სავარჯიშო	20 წუთი
	3] დისკუსია სავარჯიშოს შემდეგ	15 წუთი
	4] სესიების შეჯამება და დახურვა	5 წუთი

ტრენინგ სესიის გეგმა

1] თეორიული ნაწილი - ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები საომარ და ომის შემდგომ გარემოში (15 წუთი)

- საომარ და ომის შემდგომ გარემოში ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორების პრეზენტაცია – შინაარსი გზამკვლევიდან (თავი 3).
- PowerPoint-ის პრეზენტაცია – დამოკიდებულია ფასილიტატორზე.

2] სავარჯიშო

ამბავი/ქეისი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 38 წლის ქალია, რომელიც ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში განიცდის ძალადობას. დამნაშავე მისი ქმარია, რომელიც ყოფილი მეომარია. მას აღენიშნება პოსტტრავმული სტრესული აშლილობის სინდრომის სიმპტომები, თუმცა არცერთი ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის არ მიუმართავს და არც პროფესიონალთა დახმარება მიუღია. მას მუდმივად აწუხებს ომის მოგონებები და ხშირად მოიხმარს ალკოჰოლს. ცოლი სთხოვდა მას ექიმთან წასულიყო, თუმცა ამაოდ.

ბოლო ძალადობრივი ეპიზოდი გუშინ ღამით მოხდა, როცა ქმარმა სცემა და მძიმე დაზიანებები მიაყენა მკლავებზე, ფეხებსა და თავის არეში. ინციდენტის დროს იქ იმყოფებოდნენ მათი არასრულწლოვანი ქალიშვილი და ვაჟი. ოჯახი დიდ კორპუსში ცხოვრობს და მეზობელმა პოლიციამ გამოიძახა. პოლიციის გარდა იქ იმყოფებოდა სოციალური მუშაკიც. შედეგად ქმარი 24 საათის განმავლობაში დააკავეს. ქალმა პოლიციელებს და სოციალურ მუშაკებს ყველაფერი მოუყვა მომხდარის შესახებ. მათ წაიყვანეს იგი გადაუდებელი დახმარების ოთახში, რათა მას შეეძლო სამედიცინო დახმარების მიღება. ამის შემდეგ ის სახლში დაბრუნდა.

დღეს დილითის პოლიციის განყოფილებაში დაბრუნდა, რათა მსხვერპლის ჩვენება მისცეს ოჯახური ძალადობასა და წინა საღამოს განვითარებულ მოვლენებზე. ამის შემდეგ ის მივიდა სოციალური დახმარების ცენტრში და ისაუბრა განცდილ ძალადობაზე. რადგან ქმარი ძალიან საშიშია და მას სახლში იარაღი აქვს, ქალი და ბავშვები თავშესაფარში მოათავსეს. შემდეგ ქალი მიდის ოჯახის ექიმთან, რათა შეავსოს ანგარიში ოჯახური ძალადობის შემთხვევების შესახებ (ანგარიში ფიზიკური დაზიანების შესახებ). პროკურატურა მას მოუწოდებს მისცეს ჩვენება. ამის შემდეგ ის მიდის სოციალური დახმარების ცენტრში, რათა დაიწყოს თავისუფლების აღკვეთის პროცედურა. საქმე სასამართლო განხილვაშია და ქალი უნდა მივიდეს ჩვენების მისაცემად. მოძალადე არ კმაყოფილდება ბავშვებთან შესახვედრად პაემნის უფლებით, ის ემუქრება ქალს და ის (ქალი) პოლიციაში უნდა მივიდეს და კვლავ შეატყობინოს მომხდარის შესახებ. ბავშვებს სკოლაში პრობლემები აქვთ, ამიტომ ის უნდა მივიდეს და დაელაპარაკოს მასწავლებლებს. ქალი გადაჭარბებული წნეხისა და შიშის გამო მიმართავს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრს და ჩართულია ამბულატორიულ მკურნალობაში.

 **ოფლაინ ტრენინგისთვის** (20 წუთი)

- **ნაბიჯი 1** – ფასილიტატორი ითხოვს ჯგუფიდან ცხრა (9) მობალისეს სავარჯიშოში მონაწილეობისთვის. სხვა მონაწილეები აკვირდებიან.

- **ნაბიჯი 2** – ფასილიტატორი ანიჭებს როლს თითოეულ მონაწილეს. თითოეული მონაწილე წარმოადგენს ერთ დანესებულებას/ორგანიზაციას გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა დაცვის ჯაჭვში.
როლები შემდეგნაირია:
 - ქალები
 - პოლიცია
 - ჯანდაცვის დანესებულებები
 - სოციალური ცენტრი
 - პროკურატურა
 - თავშესაფარი
 - სასამართლო
 - სკოლა
 - ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი

- **ნაბიჯი 3** – ფასილიტატორი დაფის გორგალს აძლევს ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალს.

- **ნაბიჯი 4** – ფასილიტატორი იწყებს ამბის/ქეისის კითხვას. ყოველთვის, როცა ფასილიტატორი ახსენებს დანესებულებას ან ორგანიზაციას, მონაწილე, რომელიც წარმოადგენს ამ დანესებულებას/ორგანიზაციას, იღებს გორგალის დაფს და შემდეგ უბრუნებს მას ქალს/ოჯახში ძალადობის მსხვერპლს და ასე გრძელდება სხვა როლების შემთხვევაში.

- **Step 5** – სავარჯიშოს დასასრულს, დაფი ჩახლართული იქნება და მონაწილეები დაინახავენ, თუ რამდენად რთულია მსხვერპლისთვის მას შემდეგ, რაც ის ან ვინმე სხვა შეატყობინებს ძალადობის შესახებ, და რამდენი უწყება და ორგანიზაცია არის ჩართული

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ პროცედურებთან, რაც კიდევ უფრო ართულებს ქალისთვის დახმარების ძებნას.

- **ნაბიჯი 6** – სავარჯიშოს შემგომი დისკუსია (15 წუთი)

3] დისკუსია სავარჯიშოს შემდეგ (15 წუთი)

შეკითხვები მონაწილეთათვის:

- რა დასკვნის გაკეთება შეგვიძლია ამ სავარჯიშოზე დაყრდნობით?
- არის თუ არა ზოგიერთი უწყება გამორიცხული?
- არის თუ არა მსგავსი სიტუაცია თქვენს ადგილობრივ საზოგადოებაში?

🌐 ონლაინ ტრენინგისთვის:

- ფასილიტატორმა უნდა აარჩიოს სავარჯიშო ონლაინ ტრენინგისთვის. ფასილიტატორმა უნდა მოამზადოს ონლაინ ინსტრუმენტი ეკრანზე დაფის დასახატად და გასაზიარებლად. ფასილიტატორი სთხოვს ერთ-ერთ მონაწილეს წაიკითხოს ამბავი/ქეისი, ხოლო მეორე მონაწილეს გადაიტანოს ყველა როლი ონლაინ დაფაზე, მათ შორის მსხვერპლი დაფის შუაში. სანამ ერთ-ერთი მონაწილე კითხულობს ამბავს, სხვა მონაწილეები (ან ფასილიტატორი) ხაზს უსვამენ და აკავშირებენ უწყებებს მსხვერპლთან. საბოლოო ჯამში, ონლაინ დაფა აჩვენებს სხვადასხვა უწყების როლებისა და პოზიციების და იმ პროცედურებთან ვიზუალურ კავშირს, რომლებთანაც მსხვერპლი არის დაკავშირებული.
- დისკუსიის დროს ფასილიტატორი მონაწილეებს სთხოვს მოსაზრების გამოხატვას სავარჯიშოსა და სამუშაო გამოცდილებაზე, და ადგილობრივ დონეზე უწყებებთან ურთიერთობაზე (იხ. ზემოთ შემოთავაზებული კითხვები).

4] მოდულის დახურვა (5 წუთი)

- მიეცით დრო მონაწილეებს საბოლოო აზრებისა და შთაბეჭდილებების დასაფიქსირებლად, კითხვა-პასუხისთვის და მაღლობა გადაუხადეთ მონაწილეებს დახარჯული დროისა და რესურსისთვის.



მოდული 3: ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით

შესავალი

ტრენინგის მესამე მოდული შექმნილია იმისთვის, რათა მონაწილეებმა შეძლონ ახალი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირებისთვის.

სასწავლო მიზნები

- მონაწილეებისთვის უკვე დოკუმენტირებული, მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიების გაცნობა, რომელიც შედის გზამკვლევის მე-6 თავში.
- მონაწილეების დაფიქრება, ქალთა უფლებების დამცველებისა და აქტივისტების გამოცდილებაზე, როგორც საგანგებო/საომარ, ასევე გაჭიანურებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციების დროს.
- უსაფრთხო სივრცის შექმნა კრიტიკული აზროვნებისთვის, უფრო სიღრმისეული დისკუსიის გასამართად ომის ან კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებზე.
- მონაწილეებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, საკუთარი წინადადებებისა და სტრატეგიების შეთავაზებისთვის.

მასალები

- სესიის დაწყებამდე რეკომენდებულია მოდულის მიმოხილვის მონაწილეებისთვის გაზიარება ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით, ელ. ფოსტით/“ჩატით”, თუ ტრენინგი ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს.
- თუ ტრენინგი ოფლაინ ჩატარდება, თქვენ დაგჭირდებათ ნებოვანი ფურცლები, ან სხვა ფერადი ქაღალდი, რათა მონაწილეებმა გააკეთონ ჩანერები.

რჩევები ფასილიტატორისთვის

- ტრენინგის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე ფასილიტატორებმა უნდა წაიკითხონ გზამკვლევის მე-6 თავი „ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების მიზნით“. ფასილიტატორებმა ასევე უნდა გადახედონ ტრენინგის მონაწილეთა ისტორიას, იცოდნენ ტრენინგის მონაწილეთა ცხოვრებისეული სიტუაციები, რომლებიც დაკავშირებულია კონფლიქტთან და საომარ სიტუაციებთან

(თუ ეს ინფორმაცია მოწოდებულია ტრენინგამდე გაზიარებულ მოსამზადებელ ფორმაში) და გაერკვენ სიტუაციებში, რომლებშიც ტრენინგის მონაწილეები ტრენინგში მონაწილეობამდე მუშაობდნენ.

- ტრენინგის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე ფასილიტატორებს უნდა ჰქონდეთ უფრო მკაფიოდ გააზრებული მონაწილეთა ისტორია და მათი გამოცდილება კონფლიქტებისა და ომების შესახებ. ეს ინფორმაცია დაეხმარება ფასილიტატორებს მეტად მოახდინონ ფოკუსირება სამიდან ერთ-ერთ სტრატეგიაზე, როგორც მაგალითზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება მესამე მოდულის სესიაზე. არსებობს სამი ძირითადი ტიპის სტრატეგია, რომლებიც დამოკიდებულია ომისა და კონფლიქტის ეტაპებზე და ისინი ასახულია გზამკვლევის მე-6 თავში: 1) ომის და საგანგებო სიტუაციების დროს; 2) გაჭიანურებული კონფლიქტის დროს; 3) პოსტკონფლიქტური და გრძელვადიანი სტრატეგიები. არჩევანი დამოკიდებული იქნება იმ მონაწილეთა რაოდენობაზე, რომელთაც აქვთ კონფლიქტებთან და ომთან დაკავშირებული გამოცდილება. თუ ტრენინგის აუდიტორია მრავალფეროვანია და მონაწილეები არიან სხვადასხვა გამოცდილებით, ფასილიტატორებს შესაძლოა მოუხდეთ სტრატეგიების მაგალითების მოყვანა კონფლიქტისა და ომის სამივე ეტაპიდან, ან იმ სტრატეგიების მოყვანა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ფაზაში.
- სასურველია, ტრენინგის დღეს ფასილიტატორებს ურჩევნ, ამოებტდონ მასალები მონაწილეებისთვის არჩეული სტრატეგიებიდან გამომდინარე. თუ ტრენინგი ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, მნიშვნელოვანია მონაწილეებს გაუგზავნოთ მომზადებული მასალები შერჩეული სტრატეგიებით ელექტრონული ფოსტით.
- ფასილიტატორს დასჭირდებათ მოდულის მოკლე მიმოხილვის ამოებტდვა, რათა თან იქონიონ ტრენინგის დროს. გარდა ამისა, ტრენინგის ჩატარების დღეს მნიშვნელოვანია მოდულის მიმოხილვის გაზიარება მონაწილეებისთვის.

მოდულის მიმოხილვა

მიმოხილვა		
დრო	შინაარსი	ხანგრძლივობა სულ 100 წუთი
	1] შესავალი (ვინ არის ოთახში? როგორ ვგრძნობ თავს დღეს?)	20 წუთი
	2] პრეზენტაცია სტრატეგიების შესახებ (რას გულისხმობს სტრატეგია, მიმდინარე გზამკვლევის კონტექსტში? მიეცით მიმოხილვა სხვადასხვა ტიპის სტრატეგიებზე).	10 წუთი
	3] ჩაუღრმავდით სტრატეგიების არჩეულ ტიპებს, მონაწილეთა გამოცდილებიდან გამომდინარე (სთხოვეთ მონაწილეებს წაიკითხოთ სტრატეგიები).	10 წუთი
	4] შესვენება	15 წუთი
	5] სავარჯიშო მცირე ჯგუფებში	25 წუთი
	6] რეფლექსია სტრატეგიებზე უფრო დიდ ჯგუფში	10 წუთი
	7] იდეების შეგროვება ახალ სტრატეგიებზე	5 წუთი
	8] ყველა სესიის შეჯამება და დახურვა	5 წუთი

ტრენინგის სესიის გეგმა

1] შესავალი (20 წუთი)

თუ ტრენინგი დაყოფილია 2-დღიან სესიებად, მაშინ მიესალმეთ მონაწილეებს და სთხოვეთ უპასუხონ ორ კითხვას ორ რაუნდში. პირველი რაუნდის შეკითხვაა „ვინ არის დღეს ოთახში?“. მეორე რაუნდის შეკითხვა არის „როგორ ვგრძნობ თავს დღეს?“. ეს კითხვები დაეხმარება მონაწილეებს შეახსენონ ერთმანეთს საკუთარი თავის შესახებ და გამოხატონ თავიანთი ემოციური მდგომარეობა ტრენინგის ოთახში ყოფნისას და ამით უფრო მეტად იგრძნონ თავი ამ პროცესში ჩართულად.

თუმცა, თუ სამივე მოდულის ჩატარება ერთ დღეს ხდება, გამოტოვეთ ზემოთ მოცემული კითხვები და გაუზიარეთ მე-3 მოდულის მიზნები მონაწილეებს:

- მონაწილეებისთვის უკვე დოკუმენტირებული, მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიების გაცნობა, რომელიც შედის გზამკვლევის მე-6 თავში.
- მონაწილეების დაფიქრება, ქალთა უფლებების დამცველებისა და აქტივისტების გამოცდილებაზე, როგორც საგანგებო/საომარ, ასევე გაჭიანურებული კონფლიქტისა და პოსტკონფლიქტური სიტუაციების დროს.
- უსაფრთხო სივრცის შექმნა კრიტიკული აზროვნებისთვის, უფრო სიღრმისეული დისკუსიის გასამართად ომის ან კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკულ ასპექტებზე.
- მონაწილეებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, საკუთარი წინადადებებისა და სტრატეგიების შეთავაზებისთვის.

რეფლექსია მოდულ 1-სა და 2-ზე. სთხოვეთ მონაწილეებს გაგიზიარონ, აქვთ თუ არა რაიმე მოსაზრება წინა სესიაზე. მიეცით მათ ერთი წუთი, რომ თავიანთი აზრები ქალაქდებ გადაიტანონ (მონაწილეებს შეუძლიათ სტიკერების გამოყენება). გარდა ამისა, სთხოვეთ მათ დაწერონ ერთი რამ, რის სწავლასაც ელიან მე-3 მოდულის ბოლოს.

2] პრეზენტაცია სტრატეგიების შესახებ (10 წუთი)

დაიწყეთ სესია სტრატეგიების გაცნობით და სტრატეგიების მნიშვნელობის ახსნით გზამკვლევის კონტექსტში. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ სტრატეგიები შეგროვდა ქალთა ორგანიზაციების მიერ მათი გამოცდილების საფუძველზე საომარ ან ომის შემდგომ სიტუაციებში.

წარმოადგინეთ სხვადასხვა ტიპის სტრატეგიების მიმოხილვა ომის ან კონფლიქტური სიტუაციების ეტაპებზე დაყრდნობით.

სთხოვეთ მონაწილეებს უკუკავშირის ან კომენტარების გაკეთება სტრატეგიების გაზიარებისას. გაითვალისწინეთ შემდეგი კითხვების დასმა მონაწილეთათვის:

- შეუძლიათ თუ არა თავიანთ საქმიანობაში ისეთი აქტივობების ამოცნობა, რომელთაც შეიძლება ეწოდოს სტრატეგიები? რატომ და რით განსხვავდება სტრატეგიები სხვა ფუნქციებისგან, რომელთაც ისინი ასრულებენ თავიანთ პრაქტიკაში?
- არის თუ არა ისეთი რამ, რაც მათ მანამდე გაუკეთებიათ ქალთა მიმართ ძალადობის ქეისებთან მუშაობისას საომარი ან კონფლიქტური სიტუაციების დროს ან მის შემდეგ, რაც შეიძლება სტრატეგიებად დაიყოს?

ეს კითხვები დაგეხმარებათ შეამზადოთ ნიადაგი სესიის ბოლოს რეფლექსიებისთვის ახალი სტრატეგიების შემუშავებისთვის. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ მათ არ უნდა უპასუხონ ამ კითხვებზე დაუყოვნებლივ, არამედ უნდა იფიქრონ მათზე სესიის დასრულებამდე. ოფლაინ ტრენინგის შემთხვევაში შეახსენეთ მონაწილეებს, რომ მათ შეუძლიათ ჩაწერონ ნებისმიერი აზრი ორ კითხვასთან დაკავშირებით ქალაქზე და შეინახონ ისინი მოგვიანებით განსახილველად. თუ ტრენინგი ონლაინ რეჟიმშია, სთხოვეთ მონაწილეებს, სურვილის შემთხვევაში, „ჩატში“ დააფიქსირონ თავიანთი აზრები.

3] სტრატეგიების არჩეული ტიპების სიღრმისეული განხილვა (10 წუთი)

აუხსენით, რომ თქვენ გაუზიარებთ მონაწილეებს ტრენინგის დაწყებამდე შერჩეულ კონკრეტულ სტრატეგიებს, მათი მონაცემებიდან გამომდინარე, თუ ეს ინფორმაცია შეგროვდა ტრენინგამდე წინასწარი გამოკითხვის შედეგად. შეახსენეთ მონაწილეებს, რომ სტრატეგიები არჩეულ იქნა საომარი ან კონფლიქტური სიტუაციის/ეტაპიდან გამომდინარე, რომელშიც მონაწილეები იმყოფებიან. ვინაიდან გაზიარებული ინფორმაცია შეიძლება იყოს პოტენციურად ამაღელვებელი, შეახსენეთ მონაწილეებს, რომ თუ რომელიმე მათგანი თავს იგრძნობს ემოციურად ან არ სურს დისკუსიის გაგრძელება, საჭიროების შემთხვევაში მათ უფლება აქვთ უარი თქვან ან დატოვონ ოთახი და შეისვენონ რამდენიმე წუთით.

სთხოვეთ მონაწილეებს, ხმამაღლა წაიკითხონ სტრატეგიების ჩამონათვალი (ყოველ ჯერზე სთხოვეთ სხვადასხვა მონაწილეს წაიკითხოს თითო სტრატეგია) და მიეცით საშუალება მონაწილეებს არჩეული სტრატეგიების შესახებ დისკუსიის დასაწყებად.

გთხოვთ გაითვალისწინოთ დროის შეზღუდვა. შესაძლოა მონაწილეებმა აირჩიონ 10-ზე მეტი სტრატეგია განხილვისთვის, მაგრამ ოპტიმალური რაოდენობა, რომლის განხილვაც შესაძლებელია 10 წუთში, არის მაქსიმუმ ხუთი სტრატეგია. თუ დრო არ გაქვთ სხვა სტრატეგიებისთვის, არ ინერვიულოთ, აქ მიზანი არის სიღრმისეული აზროვნებისა და დისკუსიისთვის სივრცის შექმნა. შეახსენეთ საკუთარ თავს და მონაწილეებს, რომ სხვა სტრატეგიები შეგიძლიათ იხილოთ გზამკვლევაში. ყოველთვის გქონდეთ გზამკვლევის ბმული გვერდის ბმულებით ან გააზიარეთ ის შეხვედრის პლატფორმის „ჩატში“.

4] შესვენება (15 წუთი)

5] სავარჯიშო მცირე ჯგუფებში (25 წუთი)

ჯგუფური როლური თამაშის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საშუალება მიეცეს მონაწილეებს დაფიქრდნენ (როგორც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ან სხვა საინიციატივო ჯგუფები) სტრატეგიების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ თავიდან აიცილონ ქალთა მიმართ ძალადობა საომარ და საგანგებო სიტუაციების დროს, სხვადასხვა ქალთა კონკრეტული გამოცდილების გათვალისწინებით (მინიჭებული როლებით).

სავარჯიშოსთვის: მინიჭებული როლები

როლი 1: აქტიურ საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის საზღვრისპირა სოფელში მცხოვრები 76 წლის ქალი ხართ. თქვენ არ გყავთ პარტნიორი და თქვენი შვილები ახალგაზრდობაში გადავიდნენ სხვა ქვეყანაში. არც მეზობლებთან ან ნათესავებთან გაქვთ ხშირი კონტაქტი ან ძლიერი კავშირები. გარდა ამისა, ბევრი თქვენი მეზობელი ხანდაზმული ადამიანია.

როლი 2: თქვენ ხართ 12 წლის გოგონა, რომლის სკოლაშიც სწავლა შეწყდა ქალაქში შეტაკებების გამო. შედეგად, თქვენს ქალაქში არსებული სკოლები დაიხურა. შორეულმა ნათესავმა მშობლებს დაჰპირდა ყალბი საბუთების დამზადებაში დახმარებას, რათა მასთან ერთად გადაკვეთოთ საზღვარი და ამით გაექცეთ ომს. თქვენი მშობლები განიხილავენ ნათესავთან ერთად თქვენს საზღვარგარეთ გამგზავრებას სიცოცხლის გადასარჩენად.

როლი 3: თქვენ და თქვენს სამ შვილს ახლახან მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი, რადგან მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, იძულებულნი გახდით დაგეტოვებინათ საკუთარი ქვეყანა. თქვენი ქმარი სხვადასხვა მიზეზის გამო უარს ამბობს ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე, რის შედეგადაც მას არ ეძლევა ქვეყნის დატოვების და ოჯახთან შეერთების უფლება. თქვენ და თქვენს შვილებს შემოგთავაზებს ადგილი დევნილთა ბანაკში, სადაც ცუდი ჰიგიენური პირობებია და მჭიდროდ არის დასახლებული.

როლი 4: თქვენ ხართ ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი, რაც ზღუდავს თქვენს მობილობას. თქვენ ითხოვთ თავშესაფარი სხვა ქალაქში, რადგან თქვენს ქალაქში ომია. რამდენიმე თავშესაფარმა უარი თქვა იმ მიზეზით, რომ მათ არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული პირობები.

როლი 5: თქვენ ლესბოსელი ხართ და რადგან თქვენს ქვეყანაში ომი ახლახან დაიწყო, გსურთ გაიქცეთ და შეუერთდეთ თქვენს პარტნიორს, რომელმაც უკვე დატოვა ქვეყანა. ქვეყნის სასაზღვრო კონტროლის გავლისას გაცნობეს, რომ აკრძალული გაქვთ საზღვრის კვეთა. თუმცა, თქვენ არ გეუბნებიან მსგავსი გადაწყვეტილების ოფიციალურ მიზეზს. უარის ერთადერთი დასაბუთება, რომელიც სასაზღვრო პოლიციამ გაცნობათ არის თქვენი ფოტო პასპორტში, სადაც გრძელი თმა გაქვთ და ახლა განსხვავებულად გამოიყურებით. საბოლოოდ, საზღვრის კვეთა გეკრძალებათ.

როლი 6: თქვენი ქმარი მსახურობს შეიარაღებულ ძალებში და არის მაღალი რანგის ოფიცერი. იმის გამო, რომ მისი ხელფასი მაღალია, ის დაჟინებით მოითხოვს, რომ დარჩეთ სახლში და არ იმუშაოთ. ის ყოველ სამ თვეში ერთხელ ბრუნდება სახლში მხოლოდ ძალიან მცირე ხნით, რადგან ქვეყანაში ომია. თქვენთან ყოფნის ერთი ან ორი კვირის განმავლობაში, ის ძირითადად უმიზეზოდ ჩხუბობს და კამათობს.

როლი 7: თქვენ ხართ ქალი, რომელმაც ადრე მიიღო ფსიქიატრიული დახმარება ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკაში. თქვენს ქვეყანაში ომია და თქვენ მოითხოვთ თავშესაფარი, მაგრამ უარი გითხრეს რაიმე ოფიციალური მტკიცებულების ან დოკუმენტაციის გარეშე. თქვენ იცით, რომ თავშესაფრის ერთ-ერთი თანამშრომელი ადრე მუშაობდა ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკაში.

როლი 8: თქვენ ფერადკანიანი ქალი ხართ და სასწავლო მიზნით ეწვიეთ თქვენი ქვეყნიდან ძალიან შორს მყოფ ქვეყანას, რომელიც საკმაოდ ჰომოგენურია და ჭარბობს კავკასოიდური ანუ ევროპეიდული რასის წარმომადგენლები. სწავლის მეორე წელს, აღნიშნულ ქვეყანაში მოულოდნელად ომი იფეთქებს. ბევრი ადამიანი ტოვებს ქვეყანას და თქვენც გადაწყვიტეთ მისი დატოვება, რადგან უნივერსიტეტი გაურკვეველი ვადით დაიხურა. საზღვარზე გეუბნებიან, რომ რიგში პრიორიტეტი ქვეყნის მოქალაქეებს ენიჭებათ და გარკვეული პერიოდით დროებით ბანაკს გთავაზობენ. თქვენ გთხოვენ დაელოდოთ თქვენს რიგს საზღვრის კვეთისთვის, რასაც შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. თუმცა, თქვენთვის არ არის წარმოდგენილი, სასაზღვრო კონტროლის ოფიცრის მიერ მიღებული მსგავსი გადაწყვეტილების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი.

ოფლაინ ტრენინგისთვის

- დაიწყეთ სავარჯიშო ჯგუფური როლური თამაშის მნიშვნელობის ახსნით (2 წუთი).
 - სთხოვეთ ჯგუფს დაიყოს 2 ან 3 პატარა ჯგუფად.
 - ჯგუფების ჩამოყალიბების შემდეგ თითოეულ ქალს მიანიჭეთ როლები.

- **სთხოვეთ ჯგუფს, ფოკუსირდეს იმ წარმოსახვითი ქალთა ჯგუფის მხარდაჭერაზე, რომელიც ერგოთ.** ჯგუფის ამოცანაა შეიმუშაოს სტრატეგიები ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით, რომელიც დაეხმარება ომით გამოწვეული, გენდერული ნიშნით ძალადობით ან/და დისკრიმინაციით დაზარალებულ ადამიანებს პრევენციასა და მხარდაჭერაში (10 წუთი).
 - დასმული კითხვა - რა სტრატეგიები მოგდით თავში? გთხოვთ, მოიფიქროთ 3 ძირითადი სტრატეგია, როგორც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რათა მხარი დაუჭიროთ კონკრეტული როლის მქონე პირს. გთხოვთ, ჩაწეროთ 3 ძირითადი სტრატეგია ფლიპჩარტზე. თუ მეტი სტრატეგია გაქვთ, შეგიძლიათ ისინიც დაწეროთ.
 - მიეცით მონაწილეებს დრო, რათა განიხილონ და ჩაწერონ ფლიპჩარტებზე მინიმუმ 3 სტრატეგია და მოიფიქრონ მხარდაჭერი იდეები მინიჭებული როლების მქონე ადამიანებისთვის და იმოქმედონ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით.
 - სთხოვეთ ჯგუფს წარუდგინონ ერთმანეთს ერთი ან მეტი სტრატეგია - ჯამში 10 წუთი
- **ჯგუფური დისკუსიის დახურვა** (3 წუთი)
 - სთხოვეთ მონაწილეებს გააკეთონ როლიდან გამოსვლის სავარჯიშო და სხვადასხვა მოძრაობები, ან თუ ხედავთ, რომ ჯგუფის წევრები სავარჯიშოს დროს გრძნობდნენ ემოციურ ჩართულობას, და აღელვებულები არიან, შესთავაზეთ რეალობაში დაბრუნების სავარჯიშო (grounding exercises).

გაითვალისწინეთ, რომ ეს სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს როგორც ონლაინ, ასევე ოფლაინ, შეზღუდვების გარეშე. სავარჯიშოს ონლაინ რეჟიმში შესრულებისას მონაწილეებს სთხოვენ შევიდნენ ვირტუალურ სამუშაო ოთახებში, მცირე ჯგუფების შექმნის ნაცვლად.

6] სტრატეგიების რეფლექსია უფრო დიდ ჯგუფში (10 წუთი)

- დაიწყეთ დისკუსია და მსჯელობა სტრატეგიებზე უფრო დიდ ჯგუფში იმით, რომ სთხოვეთ მონაწილეებს თავიანთი გრძნობებისა და აზრების გაზიარება ჯგუფური სავარჯიშოს შემდეგ წარმოდგენილ სხვადასხვა სტრატეგიებზე (თითოეულ მონაწილეს ექნება შეზღუდული დრო).
- კითხვები: როგორ ფიქრობთ, რამდენად გამოსადეგია სტრატეგიები პრაქტიკაში? თუ რომელიმე სტრატეგია არ არის გამოსადეგი, რატომ არა? რა ფაქტორებმა შეიძლება შეუშალოს ხელი სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენებას?

7] იდეების შეგროვება ახალ სტრატეგიებზე (5 წუთი)

- სთხოვეთ ჯგუფიდან ერთ ან ორ მოხალისეს, ჩამოწერონ ახალი სტრატეგიები, რომლებიც ჯგუფის წევრებმა შესაძლოა წინა სესიების დროს მოიფიქრეს.

8] სესიის შეჯამება და დახურვა (5 წუთი)

- მიეცით დრო მონაწილეებს დასკვნითი მოსაზრებების და შთაბეჭდილებების გაზიარებისთვის, და კითხვა-პასუხისთვის. მაძღობა გადაუხადეთ მათ დახარჯული დროისა და შეტანილი წვლილისთვის.

მოდული 4: ადვოკატირება

შესავალი

მოდული 4 შექმნილია, რათა დაეხმაროს მონაწილეებს გააცნობიერონ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ადვოკატირების მნიშვნელობა, როგორც მოქმედებების არაძალადობრივი ფორმა, ომისა და ომის შემდგომ პერიოდში. მოდულის შინაარსმა და პრაქტიკულმა მაგალითებმა უნდა აჩვენოს მონაწილეებს, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ადვოკატირებას გადაწყვეტილების მიმღებთა და საჯარო უწყებების პოლიტიკაზე, პრაქტიკასა და ქცევაზე, ქალთა უფლებების კონტექსტში, როგორც კონფლიქტურ, ასევე პოსტკონფლიქტურ გარემოში. გარდა ამისა, მოდული მიზნად ისახავს შთააგონოს მონაწილეები იფიქრონ საკუთარი ადვოკატირების და ლობისტურ საქმიანობაზე, რაც ხშირად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ყოველდღიური მუშაობის ნაწილია.

სასწავლო მიზნები

- კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ გარემოში ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატირებასა და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ მონაწილეების აღქმის გაუმჯობესება.
- ხელი შეუწყოს მონაწილეებში იმის გაცნობიერებას, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილობრივ, რეგიონულ, სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე განხორციელებულ ადვოკატირებას ქალებისა და გოგონების ცხოვრების გაუმჯობესებაზე კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ გარემოში.
- კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ გარემოში ადვოკატირების სხვადასხვა ფორმის შესახებ მონაწილეთა ცოდნის გაღრმავება.
- მონაწილეთათვის უსაფრთხო სივრცის შექმნა, ადვოკატირების პირადი და ორგანიზაციული გამოცდილების და მას თანმხლები გამოწვევების გასაზიარებლად.

მასალები

- მოამზადეთ PPT თეორიული ნაწილისთვის (დამოკიდებულია ფასილიტატორზე).
- მოამზადეთ მასალები მცირე ჯგუფური მუშაობისთვის.
- მოამზადეთ დაფა მცირე ჯგუფური მუშაობის პრეზენტაციისთვის.
- ფერადი მარკერები, ფანქრები, კალმები, ნებოვანი ლენტები/ჭიკარტები.

რჩევები ფასილიტატორისთვის

- გაეცანით გზამკვლევის შინაარსს, განსაკუთრებით თითოეული ქვეყნის (სომხეთი, საქართველო, ბოსნია და ჰერცეგოვინა, და უკრაინა) სპეციფიკურ სიტუაციას და მათთან დაკავშირებულ კონფლიქტს. გაეცანით გზამკვლევში მოყვანილ, უკვე დოკუმენტირებულ მოკლევადიან და გრძელვადიან სტრატეგიებს, რადგან ზოგიერთი მათგანი ასახავს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატირების პროცესს.
- მოდულის (თეორიული ნაწილის) წარსადგენად მოამზადეთ PowerPoint-ის პრეზენტაცია, რომელიც შეიცავს ზოგად ინფორმაციას ადვოკატირების პროცესის ძირითადი

პრინციპებისა და საფეხურების შესახებ. ასევე, მოამზადეთ კარგი პრაქტიკის მაგალითები, მონაწილეებისთვის მოტივაციის მისაცემად, რათა თავად დაფიქრდნენ ისეთ ქმედით ნაბიჯებზე, რომელთა განხორციელება შეუძლიათ საკუთარ თემსა თუ საზოგადოებაში.

- მიეცით საშუალება მონაწილეებს დაფიქრდნენ გენდერული ძალადობისა და ქალთა უფლებების სფეროში ადვოკატირებისა და ლობისტური მუშაობის მაგალითებზე.

მოდული მიმოხილვა

მიმოხილვა		
დრო	შინაარსი	ხანგრძლივობა სულ 100 წუთი
	1] ადვოკატირების პროცესის თეორიული შესავალი, მისი ძირითადი პრინციპებისა და ადვოკატირების ეფექტური ნაბიჯების შესახებ	25 წუთი
	2] ადვოკატირების ინიციატივების მაგალითები ქალთა მოძრაობის ისტორიაში	10 წუთი
	3] მცირე ჯგუფებში მუშაობა	25 წუთი
	4] შესვენება	15 წუთი
	5] მცირე ჯგუფური მუშაობის პრეზენტაცია	20 წუთი
	6] ყველა სესიის შეჯამება და დახურვა	5 წუთი

ტრენინგ სესიის გეგმა

1] შესავალი ადვოკატირებაზე (25 წუთი)

თეორიის პრეზენტაცია შეიძლება შეიცავდეს:

რა არის ადვოკატირება?

ადვოკატირება არის დემოკრატიული ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ საკითხებზე ყურადღების მისაქცევად და რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილდღეობისთვის და ეფექტური სოციალური ცვლილების მიღწევისთვის. ადვოკატირების საერთო მიზანია საზოგადოებას ან კონკრეტულ ჯგუფებს მისცეს ხმა და უკეთესი წვდომა პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ადვოკატირება არის საკითხის მხარდაჭერის აქტი და ხელისუფლებაში მყოფთა დარწმუნება, რომ მათ უნდა იმოქმედონ ამ საკითხის მხარდასაჭერად.

ადვოკატირების ძირითადი პრინციპები:


- **სანდოობა** წარმოადგენს ორგანიზაციის სანდოობას სხვა ადამიანების თვალში და შეიძლება ეხებოდეს ინფორმაციას, რომელსაც იყენებთ ადვოკატირების პროცესში. სანდოობა შეიძლება გაიზარდოს ფაქტების სწორად განსაზღვრით და პრობლემის სიღრმისეული შესწავლით. ასევე, როდესაც თქვენ გადასცემთ შეტყობინებებს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გჯეროდეთ მათი და ისინი დაფუძნებული იყოს ფაქტებზე.
- **პასუხისმგებლობა** არის თქვენი, როგორც ქალებისა და გოგონების ინტერესების დამცველი პიროვნების ან ორგანიზაციის სანდოობის დამტკიცების საშუალება.

პასუხისმგებლობის გაზრდის ერთ-ერთი გზა არის გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა ადვოკატირების პროცესში ჩართვა.

- **ლეგიტიმაცია** – თქვენ და თქვენი ორგანიზაცია ლეგიტიმურად წარმოადგენთ ჯგუფს, რომლის მხარდაჭერასაც ცდილობთ? ჩართეთ თუ არა ის ადამიანები, რომელთაც წარმოადგენთ? თუ კი, რა გზით?
- ქალებისა და ბავშვებისთვის განკუთვნილ სერვისებზე **ორიენტაცია** არ ეხება მხოლოდ პირდაპირ სერვისებს. ის ასევე ეხება და განასახიერებს თქვენს დამოკიდებულებას პოლიტიკურ გარემოზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობისას და ბენეფიციარების წარმომადგენლისას. როცა უკეთესი სერვისების ადვოკატირებას ახდენთ, თქვენ ირგებთ ლიდერის როლს და ეს ეხება თქვენს დამოკიდებულებას მათ მიმართ, ვისზეც არის მიმართული თქვენი ადვოკატირება.
- **ძალაუფლების გაგებაზე** დაფუძნებული ადვოკატირება ნიშნავს, რომ ჩვენ ვიცნობთ ძალაუფლების სხვადასხვა ფორმებს დაწესებულებებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში. ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ ძალაუფლება, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოებაში იერარქიაზე, ძალაუფლებაზე დაფუძნებულ შესაძლებლობებზე და ქსელური კავშირების ძალაზე, ისევე როგორც შიდა ძალაუფლება, რომელიც დაფუძნებულია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების მტკიცე რწმენაზე, რომელსაც ჩვენ ვლობირებთ.

ნაბიჯები ეფექტური ადვოკატირებისკენ - ადვოკატირების გეგმა

ადვოკატირების მცდელობები ყველაზე ეფექტურია, როდესაც ისინი მიზნობრივი და კონკრეტულია. მკაფიოდ განსაზღვრეთ თქვენი მიზნები და აუცილებელი ცვლილებები. ადვოკატირების გეგმის შემუშავება მოიცავს შემდეგი ძირითადი ელემენტების გათვალისწინებას:



- **მოახდინეთ პრობლემის იდენტიფიცირება:** დაიწყეთ იმ საკითხის მკაფიოდ განსაზღვრით, რომლის მოგვარებაც გსურთ ადვოკატირების გზით. ჩაატარეთ საფუძვლიანი კვლევა, რათა გაიგოთ პრობლემის ძირითადი მიზეზები, შედეგები და პრობლემის ირგვლივ არსებული კონტექსტი. ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს, რომ თქვენი ადვოკატირების ძალისხმევა ორიენტირებული იყოს კონკრეტულ და კარგად გააზრებულ პრობლემაზე.

- **განსაზღვრეთ თქვენი მიზნები და ამოცანები:** დაისახეთ მკაფიო და გაზომვადი/ მიღწევადი მიზნები, რომლებიც ასახავს თქვენი ადვოკატირების ძალისხმევის სასურველ შედეგებს. განსაზღვრეთ კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მიზნების მიღწევას. მიზნები იძლევა ყოვლისმომცველ ხედვას და ამოცანები განსაზღვრავს მათ მისაღწევად საჭირო ნაბიჯებს. ეს ნაბიჯი უზრუნველყოფს გზას წარმატებისკენ და გეხმარებათ შეაფასოთ თქვენი ადვოკატირების ზეგავლენა.
- **განსაზღვრეთ თქვენი სამიზნე აუდიტორია:** განსაზღვრეთ ძირითადი პირები, ჯგუფები ან დაწესებულებები, რომელთაც აქვთ სასურველი ცვლილების მოხდენის ძალაუფლება. განიხილეთ, როგორც პირველადი, ისე მეორადი სამიზნეები და შეაფასეთ მათი გავლენა აღნიშნულ საკითხზე. თქვენი სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება გადამწყვეტია თქვენი ადვოკატირების გზავნილის ეფექტურად განსაზღვრისთვის.
- **ჩამოაყალიბეთ თქვენი გზავნილი:** შექმენით დამატებითი და ლაკონური გზავნილები, რომლებიც გადმოსცემენ პრობლემის მნიშვნელობას, სასურველ ცვლილებას და თქვენი საქმის მხარდაჭერით მიღებულ სარგებელს. თქვენი გზავნილები უნდა იყოს თანმიმდევრული, ადვილად გასაგები და ემოციურად რეზონანსული, რათა მიიპყროს ყურადღება და ხელი შეუწყოს მხარდაჭერის მოპოვებას.
- **შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა/მეთოდოლოგია/ტაქტიკა:** შექმენით დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავს კონკრეტულ აქტივობებს, ტაქტიკასა და ვადებს თქვენი ადვოკატირების სტრატეგიის განსახორციელებლად. ეს გეგმა უნდა მოიცავდეს ისეთ ნაბიჯებს, როგორცაა მედიის ჩართულობა, კოალიციის შექმნა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიები, პოლიტიკის ადვოკატირება და სახალხო აქტივიზმი. კარგად სტრუქტურირებული სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს თქვენი ადვოკატირების ძალისხმევის კოორდინირებულობას და სისტემატიურობას.

ადვოკატირების გეგმის შაბლონი

ქვემოთ მოცემულია ადვოკატირების გეგმის მარტივი შაბლონი, რომელშიც მოცემულია ადვოკატირების პრობლემა, მიზნები და ამოცანები, სამიზნე აუდიტორია, მეთოდოლოგია/ტაქტიკა, საჭირო რესურსები და ვადები ეფექტური ადვოკატირებისთვის:

	აღწერა	მაგალითი
პრობლემა	მკაფიოდ განსაზღვრეთ კონკრეტული საკითხი ან პრობლემა, რომლის მოგვარებასაც თქვენი ადვოკატირების ძალისხმევა ისახავს მიზნად.	ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მწირი ხელმისაწვდომობა გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის ომისა და მის შემდგომ პერიოდში.
მიზნები/ამოცანები	გამოკვეთეთ ძირითადი მიზანი, რომლის მიღწევასაც ცდილობთ თქვენი ადვოკატირების გზით.	გაზრდილი დაფინანსება და პოლიტიკის მხარდაჭერა პოსტკონფლიქტურ რეგიონებში გენდერული ძალადობის შედეგად დაზარალებულთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების გასაუმჯობესებლად.
სამიზნე აუდიტორია	განსაზღვრეთ პიროვნებები, ჯგუფები ან უწყებები, რომლებიც გადამწყვეტია თქვენი ადვოკატირების მიზნების მისაღწევად.	საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები, პოლიტიკის შემქმნელები და ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოები კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში.

ეთოდოლოგია/ ტაქტიკები	მიუთითეთ მიდგომები და ტაქტიკა, რომლებსაც გამოიყენებთ თქვენს სამიზნე აუდიტორიაზე ზემოქმედებისთვის.	ჰუმანიტარულ სააგენტოებთან ან ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საჭიროებების შეფასების ჩასატარებლად, დაფინანსების გაზრდის მიზნით გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ლობირება; მედიის ჩართვა, საკითხის აქტუალურობის გასაზრდელად.
საჭირო რესურსები	განსაზღვრეთ ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები, რომლებიც საჭიროა თქვენი ადვოკატირების გეგმის განსახორციელებლად.	გადამზადებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალები; კვლევისა და ადვოკატირების კამპანიებისთვის შესაბამისი ფონდები; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.
ვადები	განსაზღვრეთ დროის გრაფიკი, სადაც მოცემულია თქვენი ადვოკატირების კამპანიის ძირითადი ეტაპები და ბოლო ვადები.	საჭიროებათა შეფასების ჩატარება პირველ თვეში; გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის კვლევის მიგნებებისა და დასკვნების მიწოდება - მეორე თვეში; საზოგადოების ინფორმირებისთვის მედია კამპანიების განხორციელება - მესამე თვეში.

2] ადვოკატირების ინიციატივების მაგალითები ქალთა მოძრაობის⁷ (10 წუთი)

ქალთა ფორუმი 2000: ძირს ბირთვული იარაღი

2000 წელს იაპონელმა ქალებმა მოუწოდეს ქალებს და ხალხს მთელს მსოფლიოში გაერთიანებისკენ ბირთვული იარაღის აღმოსაფხვრელად და კაცობრიობის განადგურებისგან გადასარჩენად.

2000 წლის 5 აგვისტოს 1800-ზე მეტი ქალი შეიკრიბა ჰიროშიმამი ბირთვული იარაღის გაუქმების მოთხოვნით. მათ მოისმინეს ქალების ჩვენებები მთელს მსოფლიოში ბირთვული იარაღის გამოყენებისა და ტესტირების შედეგების შესახებ. კამპანიამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ სახელმწიფოს მოუწოდა, მიიღონ გაბედული გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის აღმოსაფხვრელად.

ლიბერიის ქალთა ინიციატივა

1993 წელს, ლიბერიის ომის შუაგულში, მერი ბრაუნელისთვის გაუსაძლისი აღმოჩნდა ხალხის ტანჯვის ყურება, მაშინ როცა სამშვიდობო მოლაპარაკებებს არანაირი შედეგი არ მოჰქონდა. პენსიაზე გასულ მასწავლებელს განსაკუთრებით აოცებდა ქალების დუმილი. „ომი ხუთი წელი გრძელდებოდა, მაგრამ არაფერი კეთდებოდა ხმამაღლა საუბრისთვის და ჩვენი ხმების გასაგონად. ჩვენ გვქონდა ქალთა ორგანიზაციები, მაგრამ ისინი მეტწილად ზრუნავდნენ დახმარებაზე.“ ბრაუნელმა რამდენიმე მეგობართან ერთად განიხილა ქალთა ზეწოლის ჯგუფის იდეა ომის წინააღმდეგ გამოსვლის მიზნით.

7 მეტი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ ბმულზე: <https://www.oecd.org/social/gender-development/1896464.pdf>

ჯგუფმა გაავრცელა რეკლამა ეროვნულ რადიოში, სადაც მოუწოდებდა ქალებს დასწრებოდნენ საჯარო შეხვედრას მონროვიის მერიასში. იქიდან 1994 წლის იანვარში ჩამოყალიბდა ლიბერიის ქალთა ინიციატივა (LWI). მოძრაობა ღია იყო ყველა ქალისთვის, განურჩევლად ეთნიკური, სოციალური, რელიგიური თუ პოლიტიკური წარმომავლობისა.

მათ მიიღეს ერთიანი პოზიციის დაკავების სტრატეგია საკითხებზე, რომლებიც ყველას ეხება და მთავარ ადვოკატირების მთავარ საკითხად „განიარაღება არჩევნებამდე“ აირჩიეს. LWI-ს სამიზნე გახდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჩართული ყველა მხარე. მათ აქტიურად დაიწყეს მცირე კალიბრის იარაღის შეგროვების დახმარების პროგრამა. მათი მიზანი იყო რეგიონალურ სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დასწრება და ფრაქციების ლიდერებთან ხალხის პერსპექტივების პირდაპირ ადვოკატირება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი არასდროს იყვნენ ოფიციალური სამშვიდობო მოლაპარაკებების უშუალო მონაწილეები, ისინი აღმოჩნდნენ, გავლენიანი მრჩეველები პროცესის განმავლობაში და მოქმედებდნენ როგორც დამკვირვებლები, რათა მოეხდინათ დაპირებების შესრულების უზრუნველყოფა.

ჩრდილოეთ ირლანდიის ქალთა კოალიცია (NIWC)

1996 წელს, კონფლიქტით დაზარალებულ ჩრდილოეთ ირლანდიაში, ორმა ქალმა, მონიკა მაკუილიამსმა, აკადემიკოსმა და პერლ საგარმა, სოციალურმა მუშაკმა, გადაწყვიტეს შეეკრიბათ ქალები, როგორც კათოლიკური, ასევე პროტესტანტული თემებიდან, რომლებიც მზად იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ადვოკატირებაში, სამშვიდობო მოლაპარაკებებში და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, ქალთა ჩართულობის და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად. მათ დააარსეს პოლიტიკური პარტია - ჩრდილოეთ ირლანდიის ქალთა კოალიცია (NIWC), რომელმაც მოახდინა მრავალი პოლიტიკურად აქტიური და ასევე ადგილობრივ თემთა წარმომადგენელი ქალის მობილიზება.

NIWC-ის მიზანი იყო ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესში მონაწილეობა და ქალთა შეხედულებების გათვალისწინება სამშვიდობო მოლაპარაკებებში. NIWC-მ მონაწილეობა მიიღო უნიკალურ არჩევნებში, რომელიც მიზნად ისახავდა მცირე პოლიტიკურ პარტიების სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობის საშუალებას. მონიკა მაკუილიამსმა და პერლ საგარმა მოიპოვეს ორი ადგილი ჩრდილოეთ ირლანდიის ფორუმში, ორგანოში, რომელიც უზრუნველყოფდა 1998 წელს გამართულ სამშვიდობო მოლაპარაკებებში სივრცეს ყველა მხარისათვის. ფორუმზე გამართულ მოლაპარაკებებს მოჰყვა „დიდი პარასკევის შეთანხმების“ (Good Friday Agreement) ხელმოწერა, რითაც დასრულდა ეთნო-ნაციონალისტური კონფლიქტი და დაიწყო ჩრდილოეთ ირლანდიაში, რომელიც გრძელდებოდა 1960 წლიდან.

NIWC-ის ძირითადი პრინციპები იყო ჩართულობა, თანასწორობა და ადამიანის უფლებები. როგორც ქალთა პარტიამ, NIWC-მა მთავარი როლი ითამაშა ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესში და ამით ხელი შეუწყო სამშვიდობო შეთანხმებების ხელმოწერა ქალთა მცირე პროცენტს მთელს მსოფლიოში.

NIWC-ის წევრი ქალები ხშირად განიცდიდნენ მამაკაცი პოლიტიკოსების თავდასხმებს. ისინი საჯაროდ გამოდიოდნენ სექსიზმისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ და მოუწოდებდნენ ყველა სოციალური წარმომავლობისა და თემის ქალებს მონაწილეობა მიიღონ ჩრდილოეთ ირლანდიის ადგილობრივ საჯარო პოლიტიკაში, რათა გავლენა მოახდინონ ცვლილებებზე და ხელი შეუწყონ ქალებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრას, მათ შორის გენდერული ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლთა მხარდაჭერას.

NIWC, როგორც პოლიტიკური პარტია 2006 წლამდე არსებობდა. თუმცა, მისი ბევრი წევრი კვლავაც აქტიურია, როგორც უფლებადამცველი, რომლებიც მხარს უჭერენ ქალთა ჯგუფებს და ქალთა მხარდაჭერის ინსტიტუციურ ჩარჩოს.

3] მცირე ჯგუფური სავარჯიშო (25 წუთი)

- დაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში შეიძლება იყოს ხუთამდე მონაწილე.

- ფასილიტატორმა თითოეულ ჯგუფს უნდა მიაწოდოს ტექსტის ბეჭდური ვერსია, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ერთ-ერთი ქვეყნის შესახებ, სადაც მოხდა კონფლიქტი (სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, საქართველო და უკრაინა). ბეჭდური ტექსტის შინაარსი არის გზამკვლევიდან (თავი 1).

- ყოველამ ჯგუფმა უნდა მოიფიქროს ერთი ადვოკატირების კამპანია არჩეული ქვეყნისთვის. ადვოკატირება უნდა ეხებოდეს ქალთა უფლებებს. ჯგუფიდან ერთმა ადამიანმა უნდა წარმოადგინოს შედეგები ბოლოს.

- ყველა ჯგუფი უნდა შეეცადოს უპასუხოს შემდეგ კითხვებს. ისინი უნდა განთავსდეს ყველა მონაწილისთვის ხილულ ადგილას.
 - შეგიძლიათ პრობლემის იდენტიფიცირება თქვენს მიერ გამოყოფილ ქვეყანაში?
 - რა არის ადვოკატირების მიზანი? რისი შეცვლა გვინდა? რატომ?
 - რა არის სუსტი და ძლიერი მხარეები?
 - ვინ დაგვეხმარება? შეგვიძლია ეს მართო?
 - რა დონის ადვოკატირებაა საჭირო (ადგილობრივი, ეროვნული, რეგიონული, საერთაშორისო)?
 - იფიქრეთ ადვოკატირების ერთ ღონისძიებაზე.

4] შესვენება (15 წუთი)

5] პრეზენტაცია მცირე ჯგუფიდან (20 წუთი)

- როდესაც მთავრდება მცირე ჯგუფებში მუშაობის დრო, ფასილიტატორი სთხოვს თითოეული ჯგუფის წარმომადგენელს წარმოადგინოს ჯგუფური მუშაობის დასკვნა.

- ყველა ჯგუფის პრეზენტაციის შემდეგ ფასილიტატორი სთხოვს ყველას უკუკავშირს და ხელს უწყობს დისკუსიის წარმართვას შემდეგი შეკითხვებით:
 - რა იყო მთავარი გამოწვევა ჯგუფური მუშაობის დროს და რატომ?
 - ჯგუფური მუშაობის რომელ ნაწილში გრძნობდნენ თავს ყველაზე კარგად მონაწილეები და რამ გამოიწვია მათი კმაყოფილება?
 - იყო თუ არა რაიმე სირთულე ადვოკატირების მიზნის/პრიორიტეტის შეთანხმებაში?

6] რეფლექსია და მოდულის დახურვა 4 (5 წუთი)

- ტრენინგის დასასრულს, ფასილიტატორი მონაწილეებს სთავაზობს ენერჯაიზერებს, რათა მათ მიეცეთ საშუალება გამოიკვლიონ და დაფიქრდნენ ნასწავლი მასალის მიმართ დამოკიდებულებაზე.

შემაჯამებელი და დასკვნითი სესია

ეს ნაწილი შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს ფასილიტატორებს წარმატებით დაასრულონ ტრენინგები და მისცეს მათ სამომავლო ქმედებების საფუძველი, რომელთა განხორციელებაც მონაწილეებს შეიძლება მოგვიანებით სურდეთ.

- ტრენინგის წარმატებით დასასრულებლად, მნიშვნელოვანია, რომ ის დასამახსოვრებელი გამოცდილება გახდეს მონაწილეთათვის და მისცეს მათ დასკვნითი რეფლექსიების, იდეებისა და მოსაზრებების გამოხატვის საშუალება, რომელთა გაზიარებაც შესაძლოა სურდეთ.
- მნიშვნელოვანია მონაწილეებს ვკითხოთ, გამართლდა თუ არა მათი მოლოდინები ტრენინგების დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ფასილიტატორმა წინასწარ უნდა გადახედოს მონაწილეთა მიერ დაფიქსირებულ მოლოდინებს და ჩაინიშნოს ის მოლოდინები, რომლებიც არ გამართლდა, რათა ამით ხელი შეუწყოს ტრენინგის შემდგომ განვითარებას და გაუმჯობესებას.
- სასურველია ფასილიტატორმა, სთხოვოს მონაწილეებს შეაფასონ ტრენინგი წინასწარ მოამზადებული შეფასების კითხვების საშუალებით.

რეფლექსიები (5 წუთი)

როგორც ფასილიტატორმა, მიმართეთ მონაწილეებს, მადლობა გადაუხადეთ მათ დათმობილი დროისა და მსგავს სენსიტიურ თემაზე ტრენინგებზე დასწრებისთვის. აღნიშნეთ თითოეული მონაწილის ტრენინგში სეტანილი წვლილი და მიეცით მათ საშუალება საკუთარი მოსაზრების დასაფიქსირებლად. მაგალითად, დაუსვით შეკითხვა: „რას წაიღებთ დღეს ამ ტრენინგიდან?“. მიეცით საშუალება მონაწილეებმა გააზიარონ ტრენინგის შესახებ თავიანთი შთაბეჭდილებები და გამოცდილება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გაუცრუვდათ იმედეები. მნიშვნელოვანია, ყველა მონაწილემ იგრძნოს, რომ მათ უსმენენ და რომ ყოველი შენიშვნა და კომენტარი ღირებულია, და შეუძლია ცვლილებების მოხდენა.

მოლოდინები (5 წუთი)

როგორც ფასილიტატორმა, ჰკითხეთ მონაწილეებს, გამართლდა თუ არა მათი მოლოდინები ტრენინგების დროს, მიეცით დრო დასაფიქრებლად. და თუ არ გამართლდა, შეეკითხეთ, რა მოლოდინიარ გამართლდა. მნიშვნელოვანია ჩაინეროთ მოლოდინები, რომლებიც არ გამართლდა (როგორც ფასილიტატორმა, წინასწარ გადახედეთ მონაწილეთა მიერ დანერგულ მოლოდინებს).

შეფასება (5 წუთი)

ტრენინგის დაწყების მსგავსად, სასურველია ფასილიტატორმა დაურიგოს ან გაუგზავნოს მონაწილეებს ტრენინგის შემდგომი შეფასების ფორმები (ეს შესაძლოა მოხდეს ტრენინგის დასრულებიდან რამდენიმე დღეში). ტრენინგის პროცესის შეფასება, გაზიარებული მასალების ხარისხი და ფასილიტატორების უნარები ტრენინგების ჩატარებაში აუცილებელია ტრენინგის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. კითხვები შესაძლოა დაისვას ონლაინ პლატფორმების მეშვეობით (როგორცაა Google Forms, SurveyMonkey და ა.შ.). ქვემოთ მოცემულია შემოთავაზებული კითხვები, რომლებიც შეიძლება შევიდეს ტრენინგის შეფასების ფორმებში (გათვალისწინეთ, რომ ზოგიერთი შემოთავაზებული კითხვა უფრო სპეციფიკურია თემის სენსიტიურობის გათვალისწინებით):

ზოგადი შეკითხვები:

1. როგორია თქვენი საერთო შეფასება ტრენინგის შესახებ?
2. რამდენად გაამართლა ტრენინგმა თქვენი მოლოდინი?
3. ტრენინგის რომელი ნაწილი მოგეჩვენათ ყველაზე სასარგებლო და რატომ?
4. ტრენინგის რომელი ნაწილი მოგეჩვენათ ყველაზე ნაკლებად სასარგებლო და რატომ?
5. როგორ გამოიყენებთ ტრენინგზე ნასწავლს თქვენს მუშაობაში?

შედარებით სენსიტიური კითხვები:

1. როგორ შეაფასებდით თქვენს უსაფრთხოებას ტრენინგის ჩატარების ადგილზე?
2. როგორ შეაფასებდით ფასილიტატორის უნარს, გამოხატოს თანაგრძნობა საჭიროების შემთხვევაში?

ღონისძიების ორგანიზება:

1. როგორ შეაფასებდით რეგისტრაციის პროცესს და წინასწარ მონოდებულ ინფორმაციას ღონისძიების შინაარსთან დაკავშირებით?
2. იყო თუ არა ტრენინგების ხანგრძლივობა ადეკვატური?
3. როგორ შეაფასებდით ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგიას/აქტივობებს?



რესურსები

ეს სია შეიცავს რამდენიმე სასარგებლო რესურსს, რომლებიც ფასილიტატორებს შეუძლიათ გამოიყენონ ტრენინგის მოსამზადებლად. იგი მოიცავს სხვადასხვა სახელმძღვანელოებს, რომლებსაც შეუძლიათ თემაზე და ტრენინგის სხვადასხვა მეთოდოლოგიაზე დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

UNHCR (2016წ.), გენდერული ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება, ტრენინგ პაკეტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://www.unhcr.org/media/sgbv-prevention-and-response-training-package>

ვან, ბეთ (2004წ.), სასწავლო სახელმძღვანელო ფასილიტატორის გზამკვლევი: მულტისექტორული და უწყებათაშორისი პრევენცია და რეაგირება გენდერულ ძალადობაზე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაში, JSI Research & Training Institute/RHRC Consortium, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.endvawnow.org/uploads/browser/files/Interagency%20Multisector%20Response%20to%20GBV.pdf>

UNFPA (2011წ.), გენდერული ძალადობის პროგრამების მართვა საგანგებო სიტუაციებში, ელექტრონული სწავლება და თანმხლები გზამკვლევი. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://www.unfpa.org/publications/managing-gender-based-violence-programmes-emergencies>

დე ცვაანი, ნ. და ფენსტრა, ე.დ (2015წ.), გენდერი, მშვიდობა და კონფლიქტების ტრენინგ სახელმძღვანელო. Cooperative for Assistance and Relief Everywhere, Inc. (CARE), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე https://www.kpsrl.org/sites/default/files/publications/files/769_gender_peace_and_conflict_manual.pdf

ჯანდაცვის პოლიტიკის პროექტი (2014წ.), გენდერული ძალადობის პრევენცია: ტრენინგ სახელმძღვანელო, ვაშინგტონი, DC: Futures Group, ჯანდაცვის პოლიტიკის პროექტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე https://www.healthpolicyproject.com/pubs/367_MozambiqueGBVManualFINAL.pdf

საერთაშორისო სამაშველო კომიტეტი (2008წ.), ძირითადი ცნებები გენდერულ ძალადობაში. ფასილიტატორების სახელმძღვანელო, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://gbvresponders.org/wp-content/uploads/2015/07/Core-Concepts-Facilitator-Manual.pdf>

ტერეზა დე ლანგისი/UN Women Timor-Leste (2015წ.), ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება (WPS) - დიახ! სასწავლო პაკეტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://asiapacific.unwomen.org/en/digital-library/publications/2015/05/yes-learning-pack>

სოფია ქლოუზი, ჰესტა გრონევალი და დიანა ტრიმინიო მორა (2010წ.), ფასილიტაციის სახელმძღვანელო: გენდერულად სენსიტიური კონფლიქტის ანალიზი, შერიგების რესურსები, SaferWorld, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://www.c-r.org/learning-hub/gender-sensitive-conflict-analysis-facilitators-guide>

საერთაშორისო გამჭვირვალობა BiH, დოქტორი რენდალ პულჯეკ-შანკი, დოქტორი ზლატიბორკა პოპოვ-მომჩინოვიჩი (2022წ.), სახელმძღვანელოები არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ჯგუფისთვის ბოსნია და ჰერცეგოვინაში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე <https://ti-bih.org/wp-content/uploads/2022/12/TI-BIH-PRIRUCNIK-ZA-ZAGOVARANJE-BHS-WEB.pdf>

უფლებები ყველასათვის (2005წ.), საკანონმდებლო ადვოკატირების სახელმძღვანელო, ფედრა იდაკოვიჩი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე https://pravazasve.ba/download/zagovaranje-bsvodnic_za_zakonodavno_zagovaranje.pdf



WOMEN
AGAINST
VIOLENCE
EUROPE